

ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში

საჭიროებათა შეფასება

ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში

საჭიროებათა შეფასება

2018

სამადლობელი სიტყვა: CRRC-საქართველო მადლობას უხდის ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს კვლევის ფინანსური მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, მკვლევართა გუნდი მადლობას უხდის მეცნიერებათა დოქტორ რუსლან ბარამიძეს, რომელმაც პროექტის ფარგლებში ჩაატარა ჩართული დაკვირვება აჭარელი ეკომიგრანტების თემებში და რუსუდან ბერიძეს, რომელმაც ასევე პროექტის ფარგლებში აწარმოა ჩართული დაკვირვება პანკისის ხეობასა და ავარების თემებში. და ბოლოს, ორგანიზაცია მადლობას უხდის 2018 წლის ოქტომბერში, კვლევის მიგნებების გამყარების მიზნით ჩატარებული ექსპერტების სამუშაო შეხვედრისა და ამავე პერიოდში პანკისის ხეობაში ჩატარებული თემის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს.

შენიშვნა: ეს დოკუმენტი არ ასახავს ნიდერლანდების სამეფოს, თბილისში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის შეხედულებებს. აქ მოყვანილი მოსაზრებები ავტორისეულია.

საკონტაქტო ინფორმაცია: თუ გაქვთ შეკითხვები კვლევასთან დაკავშირებით, მოგვწერეთ შემდეგ მისამართზე: dustin@crrccenters.org.

Kingdom of the Netherlands

CRRC GEORGIA | CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

სარჩევი

შეჯამება 5

შესავალი 13

მეთოდოლოგია 17

- მასობრივი გამოკითხვა დაწყვილებული შერჩევის მეთოდით 17
- ჩართული დაკვირვება 19
- შეზღუდვები 19

სირიისა და ერაყის კონფლიქტებში თემის წევრების დაკარგვის მიზეზები და შედეგები 20

- რადიკალიზაციის/თემების მედეგობის შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები 20
- რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები 25
- შესაძლო შედეგები 28

რა სურთ იმ თემის წარმომადგენლებს, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს 31

- პრობლემები თემებში 31
- საჯარო სერვისებით კმაყოფილება 33
- რა სურთ ადამიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო აქტორებისგან 36
- ვინ უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილის მიწოდება? 42

დასკვნები და რეკომენდაციები 45

ბიბლიოგრაფია 50

შეჯამება

საქართველოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ოდენობა გაემგზავრა სირიასა და ერაყში, სადაც ისინი ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტული ჯგუფებისა თუ სამხედრო დაჯგუფებებისთვის იბრძვიან. საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში რიგით მეორეა ერთ სულ მუსლიმ მოსახლეზე სირიასა და ერაყში წასულ მებრძოლთა ოდენობის მიხედვით. (ბენმელექი და კლორი, 2014, 2018). კონფლიქტურ ზონებში საბრძოლოდ სულ მცირე 41 ადამიანი წავიდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მებრძოლთა იდენტიფიცირების ერთ-ერთი ძირითადი წყარო მათი გარდაცვალების შესახებ ცნობაა, მათი რიცხვი, სავარაუდოდ, უფრო დიდია. და მართლაც, ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, ორასს აჭარბებს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც საბრძოლოდ წასვლა, სულ მცირე, უცდიათ. (ბარეტი, 2017). სირიასა და ერაყის გარდა, საქართველოს მოქალაქეები უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტებშიც იბრძვიან. ბოლოდროინდელი მოვლენები, მათ შორის ვიტალი საფაროვის მკვლელობა და ულტრა-მემარჯვენეთა საშუალო ზომის აქციები, მიუთითებს, რომ საქართველოში ძალადობრივი ულტრა-მემარჯვენე ექსტრემიზმი მზარდი პრობლემაა.[1]

ჯიჰადისტურ ექსტრემიზმს სირიასა და ერაყში, ძირითადად, ორი თემის წარმომადგენლები შეეწირნენ. ეს თემებია პანკისის ხეობის სოფლები და აჭარელი ეკომიგრანტები. პანკისის ხეობა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ძირითადად ქისტებითაა (ვაინახური ეთნიკური ჯგუფი) დასახლებული. ქისტების მოსახლეობა საკმაოდ მცირეა და დაახლოებით 5000 ადამიანს უტოლდება. თუმცა, ამ მოსახლეობის არაპროპორციულად დიდი წილია კონფლიქტებში მებრძოლად წასული (საქართველოში მცხოვრები ქისტების ~1%)[2]. აჭარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს და ისტორიულად აქ ეთნიკურად ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ. გარემო პირობების გამო, ბოლო 200 წლის განმავლობაში, აჭარის მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის ნაწილი ქვეყნის სხვა რეგიონებსა და აჭარის სხვა ნაწილებში ინაცვლებდა. მათი დასახლებები საქართველოს სხვადასხვა ნაწილში „ეკომიგრანტთა დასახლებების“ სახელითაა ცნობილი. აჭარელი ეკომიგრანტებისა და პანკისის ხეობის მაცხოვრებლების გარდა, სირიასა და ერაყში მებრძოლად ქვემო ქართლსა და კახეთში მცხოვრები რამდენიმე ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქე წავიდა.

რადიკალიზაციის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ამ ტერმინის არაერთი განსაზღვრებაა მოცემული. ეს კვლევა ეფუძნება ლექსიკონში მოცემულ მარტივ განმარტებას, რომლის მიხედვითაც რადიკალიზაცია არის „მოქმედება ან პროცესი, რომლის შედეგადაც ადამიანს უყალიბდება რადიკალური შეხედულებები სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე.“[3] რადიკალიზაციის შესახებ არსებულ ლიტერატურაში განხილულია რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ადამიანებს რადიკალიზაციისკენ უბიძგებს და იზიდავს. თავის მხრივ, ამ

[1] იხილეთ ბმული: http://oc-media.org/georgian-rights-activist-s-murder-was-a-hate-crime/

[2] 2014 წლის მონაცემები მოსახლეობის შესახებ იხილეთ ბმულზე: http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/population/Census_release_ENG_2016.pdf

[3] https://www.google.hu/search?q=definition+of+radicalization&oq=definition+of+radicalization&aqs=chrome.0.69i59j0l5.3404j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8

ფაქტორებსაც სხვადასხვა განმარტებები აქვს. ამ კვლევის ფარგლებში, ბიძგის ფაქტორი არის ის, რაც ადამიანს უჩენს სურვილს, დატოვოს რაიმე ადგილი; მიზიდულობის ფაქტორი კი არის ის, რაც ადამიანს რაიმე სხვა ადგილისკენ ექაჩება. რადიკალიზაციის, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის შემსწავლელი ცენტრის (2016) ნაშრომში რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორების რამდენიმე ძირითადი ტიპია განხილული:

- ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- სოციალური ფაქტორები;
- პოლიტიკური ფაქტორები;
- იდეოლოგიური/რელიგიური ფაქტორები;
- კულტურული ფაქტორები და იდენტობის კრიზისი;
- ტრავმა და სხვა მაპროვოცირებელი მექანიზმები;
- ჯგუფის დინამიკა;
- პირები, რომლებიც ადამიანს რადიკალზაციისკენ უბიძგებენ/გადამბირებლები;
- სოციალური მედია.

რადიკალიზაციის შესახებ არსებულ ლიტერატურაში მისი გამომწვევი მრავალი შესაძლო ფაქტორია განხილული, თუმცა, ეს ფაქტორები ერთმანეთს კვეთს, რაც ართულებს რადიკალიზაციის მიზეზისა და შედეგის დადგენას. და მართლაც, ამ სფეროს ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადიკალიზაციას სხვადასხვა ფაქტორების ერთგვარი „კალეიდოსკოპი“ განაპირობებს (რენსტორპი და ჰილენგრენი, 2013). დებატები რადიკალიზაციის არსის შესახებ ორი დაპირისპირებული შეხედულების გარშემოა აგებული: ერთნი მიიჩნევენ, რომ რადიკალიზაცია შესაძლოა, გავზომოთ რწმენებში არსებული ცვლილებებით (კოგნიტური რადიკალიზაცია); მეორენი კი მიიჩნევენ, რომ უფრო მართებულია ქცევაში არსებული ცვლილებები შეფასდეს (ქცევითი რადიკალიზაცია). კონკრეტული ქვეყნების მაგალითების განხილვისას, მკვლევრები და ანალიტიკოსები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ფაქტობრივად არ არსებობს რადიკალიზებული ადამიანის ერთიანი პროფილი; არ არსებობს ისეთი სოციო-ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც რადიკალიზაციის ცალკეული შემთხვევების უმეტესობას მოერგება. (ნიუმანი, 2013). შესაბამისად, ბევრი ანალიტიკოსი შეთანხმდა, რომ რადიკალიზაციას იწვევს ამ ფაქტორების სხვადასხვაგვარი ერთობლიობა და არა ცალკე რომელიმე მათგანი (ჰორგანი 2008; მაკოლეი და მოსკალენკო 2014).

როგორც აღვნიშნეთ, რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები კალეიდოსკოპური ხასიათისაა. შესაბამისად, ლიტერატურაში (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს შესახებ) არ მოიძებნება რადიკალიზაციის განმაპირობებელი კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელი იქნებოდა იმ თემებისთვის, სადაც რადიკალიზაციის შედეგად თემის წევრები დაიღუპნენ, ხოლო სხვა თემებში არ იქნებოდა წარმოდგენილი. გამონაკლისად შეგვიძლია, მივიჩნიოთ რამდენიმე კვლევა საქართველოდან წასულ მებრძოლებზე. ამ კვლევებში ოჯახი, მეგობრები და სანაცნობო წრე განიხილება, როგორც რეკრუტირების *დე ფაქტო* ქსელი, რომლის მეშვეობითაც, მჭიდროდ დაკავშირებულ თემებში, ადამიანებს არწმუნებენ, შეუერთდნენ ჯიჰადისტურ ჯგუფებს სირიასა და ერაყში. (სესირი 2016, კლიფორდი 2017, პოკალოვა 2018). თუმცა, აშშ-ს განვითარების სააგენტოსთვის (2018) ბოლო

პერიოდში ჩატარებული საჭიროებათა შეფასების კვლევის მიხედვით არ გამოვლინდა რადიკალიზაციის გამომწვევი ფაქტორები თავად თემის დონეზე; ანუ, უშუალოდ იმ თემებისთვის დამახასიათებელი ფაქტორები, რომლებმაც წევრები კონფლიქტში დაკარგეს. სხვა მსგავს თემებში ეს ფაქტორები წარმოდგენილი არ უნდა იყოს.

ეს ვითარება ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ რადიკალიზაციის შესახებ საქართველოში ჩატარებული კვლევები თვისებრივი იყო (გარდა ერთი კვლევისა).[4] ამასთან, სათანადოდ არ იყო შერჩეული შესადარებელი თემები. ამ ნაკლოვანების ასანაზღაურებლად და თემებში რადიკალიზაციის განმაპირობებელი რამდენიმე ფაქტორის ტესტირების მიზნით CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა შერეული მეთოდოლოგიით. კვლევა ჩატარდა თემებში, რომლებმაც კონფლიქტებში დაკარგეს თემის წევრები და მათ მსგავს თემებში, რომლებსაც წევრები არ დაუკარგავთ. კვლევაში გამოყენებულია ჩართული დაკვირვებისა და დაწყვილებული შერჩევის გზით მასობრივი გამოკითხვის მეთოდები. ჩართული დაკვირვება მეტწილად კვლევის ინსტრუმენტების შესადგენად გამოიყენეს, ხოლო დაწყვილებული შერჩევის გზით მასობრივი გამოკითხვა გამოიყენეს: ა) იმ თემების მაქსიმალურად მსგავსი დასახლებების გამოსავლენად, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს და ბ) ამ თემებს შორის განსხვავებების გამოსააშკარავებლად;

კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს რადიკალიზაციის და მისდამი მედეგობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კვლევა 2018 წლის ზაფხულში ჩატარდა. შესაბამისად, გამოვლენილი განსხვავებების დიდი ნაწილი შესაძლოა, გამოწვეული იყოს ერაყისა და სირიის კონფლიქტებში თემის წევრების დაღუპვის შედეგებით (მაგ: გამკაცრებული პოლიციური კონტროლი, დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების ზრდა). გარდა ამისა, რადიკალიზაციას ბევრი სხვადასხვა ფორმა აქვს. ეს კვლევა ეხება რადიკალიზაციასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქცევას: უცხო ქვეყნების კონფლიქტებში მონაწილეობას. შესაბამისად, შეუძლებელია დარწმუნებით ითქვას, რომ ამ კვლევის შედეგები გამოავლენს რადიკალიზაციის ან მისდამი მედეგობის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს. თუმცა, კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს რიგი პოტენციური ფაქტორების გამოვლენას, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შემდგომი კვლევების ჩატარება.

რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორების გააზრების გარდა, კვლევის მიზანია, გამოავლინოს, თუ როგორ აისახა თემებზე კონფლიქტებში თემის წევრების დაკარგვა. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შედეგი, დიდი ალბათობით, თემებში პოლიციური კონტროლის გამკაცრებაა. ამ მხრივ, კვლევაში განხილულია, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებთან ურთიერთობას.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა შემდეგია: რა უნდა მოიმოქმედონ თემებმა, რომლებმაც უკვე დაკარგეს წევრები უცხო ქვეყნების კონფლიქტებში, რომ თავიდან აიცილონ შემდგომი რადიკალიზაცია და რა განაპირობებს თემების მედეგობას? ამ საკითხთან

[4] იხილეთ ბმული: http://issa-georgia.com/en/foreign-entity/hedaia/study-of-relationship-of-different-socio-cultural-parameters-education-and-violent-extremism-in-youth-2017/38?fbclid=IwAR3B_9N99kyPuK4jVKRCKsO8OWwY8zjjZg7ekx6NmVSc2hDKm2BLZRybO_0

მიმართებით კვლევაში მოცემული ანალიზი ორ დაშვებას ეფუძნება. პირველი: მიუხედავად იმისა, თუ რა ნაბიჯების გადადგმა იქნება საჭირო, ზომები არ იქნება ეფექტური, თუ ცვლილებებს მხარს თავად თემები არ დაუჭერენ. შესაბამისი თემების კონკრეტული საჭიროებების გამოვლენის მიზნით კვლევის ფარგლებში დაისვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სურთ თავად თემის წარმომადგენლებს თავიანთი თემებისთვის. მეორე: ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თემების დონეზე სხვადასხვა სოციოლოგიური ფაქტორების მხრივ (მაგ: ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის) გამოვლენილი განსხვავებები, პოტენციურად, რადიკალიზაციის ან მისდამი მედეგობის განმაპირობებელი ფაქტორებია. ამის საფუძველზე ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები ეფუძნება მოსაზრებას, რომ ზოგიერთი განსხვავება იმ თემებს შორის, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს და იმ თემებს შორის, რომლებსაც წევრები არ დაუკარგავთ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს მომავალში რადიკალიზაციის პრევენციისთვის.

კვლევაში მოყვანილი მონაცემებისა და ანალიზის შედეგად შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

პირველ რიგში, რიგი ფაქტორების გაკონტროლების ფონზე, რელიგია (მაგ: ქრისტიანობის ან ისლამის მიმდევრობა) არ აღმოჩნდა დაკავშირებული რადიკალიზაციის სავარაუდო განმაპირობებელ ფაქტორებთან - ღრმა რელიგიურ რწმენასთან ან ეროვნული თემისგან გაუცხოებასთან; შესაბამისად, ქართულ საზოგადოებაში მხოლოდ ისლამურ რადიკალიზაციაზე ყურადღების გამახვილება მართებული არ არის. მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში რადიკალიზაცია უფრო ფართოდ გავრცელებული პრობლემაა და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზე ახდენს გავლენას. და მართლაც, საქართველოში ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებული ბოლო პერიოდის მოვლენები მიუთითებს, რომ ქვეყანას რადიკალური ექსტრემიზმის გამოვლინება სხვადასხვა იდეოლოგიის საფუძველზე ემუქრება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- საქართველოში რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯები ეხებოდეს ექსტრემიზმის ყველა ფორმას და არა მხოლოდ ჯიჰადისტურ ექსტრემიზმს.

მეორე: რიგი ფაქტორების გაკონტროლების ფონზე, იმის შეგრძნება, რომ საკუთარი რელიგია იდევნება, არ უკავშირდება მაინცდამაინც იმ თემებს, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს. თუმცა, ეს ფაქტორი ზოგადად ისლამთან მიმართებით იკვეთება. სამართლებრივი დევნის განცდა, რომელსაც მუსლიმები საქართველოში განიცდიან, არ არის დამახასიათებელი მხოლოდ იმ თემებისთვის, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, მაგრამ ეს ფაქტორი შეიძლება, რადიკალიზაციის გამომწვევად მივიჩნიოთ. ეს მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება ისლამისადმი უფრო მიმღებლური უნდა გახდეს. არაერთი კვლევა აღნიშნავს, რომ ჯგუფებს შორის კონტაქტი ტოლერანტობის ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა (იხ. ოლპორტი 1954). საქართველოში ჩატარებული კვლევებიც იმავე დასკვნებამდე მიდის (იხ. CRRC 2017; მესტვირიშვილის და სხვ. 2017). შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- საქართველოში განხორციელდეს პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის დიალოგს წაახალისებს;

ეს რეკომენდაცია კიდევ უფრო ყურადსაღებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მუსლიმებს კონფლიქტებში ჩართული თემებიდან მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები ალბათობით ჰყავთ სხვა რელიგიის ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი მეგობრები იმ მუსლიმებთან შედარებით, რომლებიც მსგავს თემებში ცხოვრობენ, მაგრამ კონფლიქტებში თემის წევრები არ დაუკარგავთ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- განხორციელდეს პროგრამები, რომლებიც ეთნიკურ ჯგუფებს შორის დიალოგს წაახალისებს;
- ახალგაზრდებზე მიმართულმა პროგრამებმა წაახალისოს ურთიერთობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსა (განსაკუთრებით პანკისის შემთხვევაში) და სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს (განსაკუთრებით აჭარელი ეკომიგრანტების თემების შემთხვევაში) შორის;

თემებს, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს, გამკაცრებული პოლიციური კონტროლის განცდა აქვთ. ამაზე მეტყველებს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მსგავსი თემის მაცხოვრებლები უფრო ნაკლები ალბათობით ენდობიან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინსტიტუციებს. ამასთან, ისინი უფრო მაღალი ალბათობით აცხადებენ, რომ არაკომფორტულად გრძნობენ თავს პოლიციასთან ურთიერთობისას და რომ პოლიციას მათ თემებში ზედმეტად დიდი ძალაუფლება აქვს. ეს მიანიშნებს, რომ პოლიციის მოქმედებები პრობლემური საკითხია თემებისთვის, რომელთა წევრებიც კონფლიქტებში დაიღუპნენ. თუ მაცხოვრებლები პოლიციას არ ენდობიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ შესაბამის ორგანოებს შეატყობინონ საეჭვო შემთხვევების შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის უარყოფითმა გამოცდილებამ შესაძლოა, კიდევ უფრო წაახალისოს რადიკალიზაცია. ამ შედეგების გათვალისწინებით რეკომენდებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

- იმუშაოს პოლიციის სამოქმედო სტრატეგიის შექმნაზე იმ თემებში, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტებში დაკარგეს;
- პოლიციელების დასაქმებისას უპირატესობა მიანიჭოს თემის წევრებს;
- ჩაატაროს ტრენინგები პოლიციელებისთვის რელიგიურ მგრძნობელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სახელმწიფო სერვისების უმეტესობას არ იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ სერვისებზე ხელი მიუწვდებათ. თუმცა, ეს არ არის დამახასიათებელი მხოლოდ იმ თემებისთვის, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს. ეს მიანიშნებს, რომ სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორი არ არის. ეს ასევე მიუთითებს, რომ მთავრობამ უნდა აამაღლოს მოსახლეობის ცნობიერება მათთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ადგილობრივმა და ცენტრალურმა მთავრობამ:

- აამაღლოს მოსახლეობის ცნობიერება მათთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

რაც შეეხება ადამიანების მოლოდინებს სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ, მონაცემები მიუთითებს, რომ თემების მოლოდინები არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არ შეესატყვისება იმას, რისი მიწოდებაც ამ ორგანიზაციებს რეალურად შეუძლიათ. მოსახლეობას ყველაზე უფრო მეტად სურს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა იმუშაონ ჯანდაცვის, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით. თუმცა, ეს სფეროები იშვიათადაა არასამთავრობო ორგანიზაციების მანდატის ნაწილი, თუ ეს ჰუმანიტარულ საქმიანობას არ ეხება. ამის მიუხედავად, აღნიშნული პასუხები მიუთითებს, რომ თემებს აქვთ მოთხოვნა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ეკონომიკური განვითარების კუთხით განხორციელებულ პროექტებზე. ამ დასკვნას ამყარებს შემდეგი გარემოებაც: ერთ-ერთი ძირითადი პროგრამული მიმართულება, რომლის განხორციელებასაც რესპონდენტები საერთაშორისო აქტორებისგან მოელიან, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაა. ყველაზე მეტად ეკონომიკის სექტორებს შორის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის განვითარებითაა დაინტერესებული, პანკისში კი მეორე ადგილზე ტურიზმი დასახელდა. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- პანკისში გაგრძელდეს ან/და გაფართოვდეს პროექტები, რომლებიც მიმართულია მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერისკენ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებში.
- განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული პროექტების მსგავსი პროექტები აჭარელი ეკომიგრანტების თემებისთვის.

მართალია, მოსახლეობას სურს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ძირითადად ეკონომიკური განვითარების მიმართულებით იმუშაონ, ასევე მნიშვნელოვანია მოთხოვნა სხვა სფეროებზეც. ასეთ სფეროებს შორის პანკისის მოსახლეობამ ყველაზე ხშირად განათლება დაასახელა. ამასთან, მოსახლეობის მეოთხედის სურვილია, რომ არასამთავრობოებმა განათლებასთან დაკავშირებული უფრო მეტი აქტივობა განახორციელონ. ეს მიუთითებს, რომ პანკისში არის მოთხოვნა განათლებასთან დაკავშირებული პროგრამების გაფართოებასა ან/და გამრავალფეროვნებაზე. არსებული პროგრამების გარდა, პანკისის მაცხოვრებლები განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან პროფესიული განათლებით, ბიზნესის საკითხებზე ტრენინგით ახალგაზრდებისთვის და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგებით. აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, ასევე გამოვლინდა მოთხოვნა საგანმანათლებლო პროგრამებზე, კონკრეტულად კი ინგლისური ენის სწავლებაზე. ამ მონაცემების საფუძველზე რეკომენდებულია, რომ:

- გამოიყოს დამატებით ფონდები პანკისში საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოებისთვის;
- დაინერგოს პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამები, რომლებიც უფრო ხელმისაწვდომი იქნება პანკისის ხეობის მაცხოვრებლებისთვის (მაგ: დაწესდეს სტიპენდიები ან შემუშავდეს რაიმე სხვა ფორმატი, რომლის ფარგლებშიც, პრივილეგირებულად, პანკისის მაცხოვრებლებს მიეცემათ არსებულ პროფესიულ

სასწავლებლებში სწავლების შესაძლებლობა; ან დაარსდეს პროფესიული სასწავლებელი თავად პანკისში);

- განხორციელდეს დამატებითი საგანმანათლებო პროგრამები აჭარელი ეკომიგრანტებისთვის, განსაკუთრებით ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოიკვეთა კონკრეტულად იმ თემებისთვის დამახასიათებელი პრობლემები, რომლებმაც კონფლიქტებში წევრები დაკარგეს. პანკისში ყველაზე ხშირად წყლის მომარაგების პრობლემა დასახელდა. თუმცა, მოსახლეობამ ასევე მიუთითა გასართობი და კულტურული დაწესებულებების ნაკლებობაზე, როგორებიცაა სპორტული და საბავშვო მოედნები, მუზეუმები. მსგავსი ინფრასტრუქტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. მართლაც, ხანდაზმულებთან შედარებით, ახალგაზრდები უფრო მაღალი ალბათობით აღნიშნავდნენ, რომ მათ სურთ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდებისთვის სპორტული აქტივობები განახორციელონ. ამ შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდებულია, რომ:

- პანკისელი ახალგაზრდებისთვის შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გამოიყოს ფინანსები, რათა მათ შეძლონ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

კვლევის შედეგების გასამყარებლად ექსპერტებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, რამდენიმე ექსპერტმა გამოთქვა გარკვეული ეჭვები ძალადობრივ სპორტთან, მაგალითად, ბოქსთან დაკავშირებით. ეს საკითხი ფართოდ იქნა განხილული. მკვლევართა გუნდს მიაჩნია, რომ ეს ეჭვები საფუძვლიანია. ამასთან, ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, რომ გუნდური სპორტი ხელს უწყობს ახალგაზრდებს სოციალური უნარების განვითარებასა და სოციალური კაპიტალის დაგროვებაში. (CRRC 2011) შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- ახალგაზრდების სპორტში ჩართვაზე მიმართული ნაბიჯები კონცენტრირდეს სპორტის გუნდურ სახეობებზე.

ცალსახად გამოიკვეთა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ მუშაობენ აჭარელ ეკომიგრანტებთან. ეკომიგრანტების თემების უდიდესი ნაწილი არ იცნობს მათ თემებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. იგივე ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. ეს მიუთითებს, რომ ამ თემებში პროგრამების დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემებიდან სირიასა და ერაყში საბრძოლოდ წასული ადამიანების ოდენობა პანკისთან შედარებით მცირეა, ნათელია თემებში რადიკალიზაციის გავრცელების პრევენციის საჭიროება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- დონორმა ორგანიზაციებმა გამოყონ თანხები არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად და განვითარებაზე მიმართული საქმიანობისთვის აჭარელი ეკომიგრანტების თემებში.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა განახორციელოს პროგრამები, მონაცემები მიუთითებს, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს აშკარა უპირატესობა აქვთ თბილისში დაფუძნებულ ორგანიზაციებთან შედარებით. პანკისში ნდობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალია

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, საერთაშორისო და თბილისში მოქმედ ორგანიზაციებთან შედარებით. ამასთან, ნდობა შედარებით მაღალია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ზოგადად, ადგილობრივი ორგანიზაციები ითხოვენ უფრო ნაკლებ საოპერაციო თანხებს თბილისში მოქმედ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედარებით. ამის გათვალისწინებით, ადგილობრივ ორგანიზაციებთან მუშაობით მივიღებთ უფრო მეტს ნაკლებ ფასად. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- პანკისში უპირატესობა მიენიჭოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას;
- როდესაც დონორი ორგანიზაციები სირთულეებს აწყდებიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების პროცესში, ან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გრანტის მართვისთვის საჭირო ადმინისტრაციული რესურსის კუთხით, უპირატესობა მიენიჭოს პარტნიორობას ადგილობრივსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, ან ადგილობრივსა და თბილისში მოქმედ ორგანიზაციებს შორის.

არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკლებობის გამო რთულია ამ რეკომენდაციის შესრულება აჭარელი ეკომიგრანტების თემებში. ამ შემთხვევაში, საუკეთესო არჩევანია ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც მსგავს თემებში მუშაობის გამოცდილება აქვთ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- აჭარელი ეკომიგრანტების თემებში პროგრამების დანერგვისას გაიმართოს კონსულტაციები პანკისურ ორგანიზაციებთან.

და ბოლოს, ამ კვლევის მიზანი იყო როგორც თემების დონეზე რადიკალიზაციისა და თემების მედეგობის შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა, ასევე იმის წარმოჩენა, თუ რა სურთ თავად კონფლიქტში ჩართულ თემებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ამ თემებში პროგრამების განხორციელება შეგროვებულ ფაქტებზე დაყრდნობით მოხდეს და შეფასდეს, თუ რა მუშაობს და რა - არა. გასათვალისწინებელია, რომ ჩნდება ახალი პრობლემები და იცვლება პრიორიტეტები. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ რადიკალიზაციის პრევენციისკენ მიმართულმა პროგრამებმა:

- განახორციელონ პროგრამის ეფექტური მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის:
    - თემებში მკაცრად შერჩეული საკონტროლო ჯგუფების (მაგ: შეწყვილების მეთოდით, რომელიც ამ კვლევაშია გამოყენებული) მეშვეობით; და
    - იმ თემების ან სამიზნე მოსახლეობის რეპრეზენტატული შერჩევის გამოკითხვების მეშვეობით, რომლებშიც პროგრამები ხორციელდება.

ერთი მხრივ, ნათელია მონიტორინგისა და შეფასების ძლიერი მექანიზმის სარგებელი ოპერაციული კუთხით. მეორე მხრივ, ასეთმა მექანიზმმა შესაძლოა ხელი შეუწყოს რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზების უკეთ გააზრებას, შესაბამისად, წვლილი შეიტანოს მის პრევენციაზე მიმართული ნაბიჯების შემუშავებაში.

შესავალი

საქართველოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გაემგზავრა სირიასა და ერაყში, სადაც ისინი ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტული ჯგუფებისა თუ სამხედრო დაჯგუფებებისთვის იბრძვიან. საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში რიგით მეორეა ერთ სულ მუსლიმ მოსახლეზე სირიასა და ერაყში წასულ მებრძოლთა ოდენობის მიხედვით. (ბენმელექი და კლორი, 2014, 2018). კონფლიქტურ ზონებში საბრძოლოდ სულ მცირე 41 ადამიანი წავიდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მებრძოლთა იდენტიფიცირების ერთ-ერთი ძირითადი წყარო მათი გარდაცვალების შესახებ ცნობაა, მათი რიცხვი, სავარაუდოდ, უფრო დიდია. მართლაც, ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, ორასს აჭარბებს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც საბრძოლოდ წასვლა, სულ მცირე, უცდიათ. (ბარეტი, 2017). სირიასა და ერაყის გარდა, საქართველოს მოქალაქეები უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტებშიც იბრძვიან. ბოლოდროინდელი მოვლენები, მათ შორის, ვიტალი საფაროვის მკვლელობა და ულტრა-მემარჯვენეთა საშუალო ზომის აქციები, მიუთითებს, რომ საქართველოში ძალადობრივი ულტრა-მემარჯვენე ექსტრემიზმი მზარდი პრობლემაა.[5]

ჯიჰადისტურ ექსტრემიზმს სირიასა და ერაყში, ძირითადად, ორი თემის წარმომადგენლები შეეწირნენ. ეს თემებია პანკისის ხეობის სოფლები და აჭარელი ეკომიგრანტები. პანკისის ხეობა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ძირითადად ქისტებითაა (ვაინახური ეთნიკური ჯგუფი) დასახლებული. ქისტების მოსახლეობა საკმაოდ მცირეა და დაახლოებით 5000 ადამიანს უტოლდება. თუმცა, ამ მოსახლეობის არაპროპორციულად დიდი წილია კონფლიქტებში მებრძოლად წასული (საქართველოში მცხოვრები ქისტების ~1%)[6]. აჭარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს და ისტორიულად აქ ეთნიკურად ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ. გარემო პირობების გამო, ბოლო 200 წლის განმავლობაში, აჭარის მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის ნაწილი ქვეყნის სხვა რეგიონებსა და აჭარის სხვა ნაწილებში ინაცვლებდა. მათი დასახლებები საქართველოს სხვადასხვა ნაწილში „ეკომიგრანტთა დასახლებების“ სახელითაა ცნობილი. აჭარელი ეკომიგრანტებისა და პანკისის ხეობის მაცხოვრებლების გარდა, სირიასა და ერაყში მებრძოლად ქვემო ქართლსა და კახეთში მცხოვრები რამდენიმე ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქე წავიდა.

რადიკალიზაციის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ამ ტერმინის არაერთი განსაზღვრებაა მოცემული. ეს კვლევა ეფუძნება ლექსიკონში მოცემულ მარტივ განმარტებას. მისი მიხედვით რადიკალიზაცია არის „მოქმედება ან პროცესი, რომლის შედეგადაც ადამიანს უყალიბდება რადიკალური შეხედულებები სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე.“[7] რადიკალიზაციის შესახებ არსებულ ლიტერატურაში განხილულია რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ადამიანებს რადიკალიზაციისკენ უბიძგებს და იზიდავს. თავის მხრივ, ამ ფაქტორებსაც სხვადასხვა განმარტებები აქვს. ამ კვლევის ფარგლებში, ბიძგის ფაქტორი არის ის, რაც ადამიანს უჩენს სურვილს, დატოვოს რაიმე ადგილი; მიზიდულობის ფაქტორი კი არის ის, რაც ადამიანს რაიმე

[5] იხილეთ ბმული: http://oc-media.org/georgian-rights-activist-s-murder-was-a-hate-crime/

[6] 2014 წლის მონაცემები მოსახლეობის შესახებ იხილეთ ბმულზე: http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/population/Census_release_ENG_2016.pdf

[7] https://www.google.hu/search?q=definition+of+radicalization&oq=definition+of+radicalization&aqs=chrome.0.69i59j0l5.3404j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8

სხვა ადგილისკენ ექაჩება. რადიკალიზაციის, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის შემსწავლელი ცენტრის (2016) ნაშრომში რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორების რამდენიმე ძირითადი ტიპია განხილული:

- ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- სოციალური ფაქტორები;
- პოლიტიკური ფაქტორები;
- იდეოლოგიური/რელიგიური ფაქტორები;
- კულტურული ფაქტორები და იდენტობის კრიზისი;
- ტრავმა და სხვა მაპროვოცირებელი მექანიზმები;
- ჯგუფის დინამიკა;
- პირები, რომლებიც ადამიანს რადიკალზაციისკენ უბიძგებენ/გადამბირებლები;
- სოციალური მედია.

რადიკალიზაციის შესახებ არსებულ ლიტერატურაში მისი გამომწვევი მრავალი შესაძლო ფაქტორია განხილული, თუმცა ეს ფაქტორები ერთმანეთს კვეთს, რაც ართულებს რადიკალიზაციის მიზეზისა და შედეგის დადგენას. და მართლაც, ამ სფეროს ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადიკალიზაციას სხვადასხვა ფაქტორების ერთგვარი „კალეიდოსკოპი“ განაპირობებს (რენსტორპი და ჰილენგრენი, 2013). დებატები რადიკალიზაციის არსის შესახებ ორი დაპირისპირებული შეხედულების გარშემოა აგებული: ერთნი მიიჩნევენ, რომ რადიკალიზაცია შესაძლოა, გავზომოთ რწმენებში არსებული ცვლილებებით (კოგნიტური რადიკალიზაცია); მეორენი კი მიიჩნევენ, რომ უფრო მართებულია ქცევაში არსებული ცვლილებები შეფასდეს (ქცევითი რადიკალიზაცია). კონკრეტული ქვეყნების მაგალითების განხილვისას, მკვლევრები და ანალიტიკოსები მიდიან დასკვნამდე, რომ ფაქტობრივად არ არსებობს რადიკალიზებული ადამიანის ერთიანი პროფილი; არ არსებობს ისეთი სოციო-ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც რადიკალიზაციის ცალკეული შემთხვევების უმეტესობას მოერგება. (ნიუმანი, 2013). შესაბამისად, ბევრი ანალიტიკოსი შეთანხმდა, რომ რადიკალიზაციას იწვევს ამ ფაქტორების სხვადასხვაგვარი ერთობლიობა და არა ცალკე რომელიმე მათგანი (ჰორგანი 2008; მაკოლეი და მოსკალენკო 2014).

როგორც აღვნიშნეთ, რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები კალეიდოსკოპური ხასიათისაა. შესაბამისად, ლიტერატურაში (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს შესახებ) არ მოიძებნება რადიკალიზაციის განმაპირობებელი კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელი იქნებოდა იმ თემებისთვის, სადაც რადიკალიზაციის შედეგად თემის წევრები დაიღუპნენ, ხოლო სხვა თემებში არ იქნებოდა წარმოდგენილი. გამონაკლისად შეგვიძლია მივიჩნიოთ რამდენიმე კვლევა საქართველოდან წასულ მებრძოლებზე. ამ კვლევებში ოჯახი, მეგობრები და სანაცნობო წრე განიხილება, როგორც რეკრუტირების *დე ფაქტო* ქსელი, რომლის მეშვეობითაც, მჭიდროდ დაკავშირებულ თემებში, ადამიანებს არწმუნებენ შეუერთდნენ ჯიჰადისტურ ჯგუფებს სირიასა და ერაყში. (სესირი 2016, კლიფორდი 2017, პოკალოვა 2018). თუმცა, აშშ-ს განვითარების სააგენტოსთვის (2018) ბოლო პერიოდში ჩატარებული საჭიროებათა შეფასების კვლევის მიხედვით არ გამოვლინდა რადიკალიზაციის გამომწვევი ფაქტორები თავად თემის დონეზე; ანუ, უშუალოდ იმ

თემებისთვის დამახასიათებელი ფაქტორები, რომლებმაც წევრები კონფლიქტში დაკარგეს. სხვა მსგავს თემებში ეს ფაქტორები წარმოდგენილი არ უნდა იყოს.

ეს ვითარება ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ რადიკალიზაციის შესახებ საქართველოში ჩატარებული კვლევები თვისებრივი იყო (გარდა ერთი კვლევისა).[8] ამასთან, სათანადოდ არ იყო შერჩეული შესადარებელი თემები. ამ ნაკლოვანების ასანაზღაურებლად და თემებში რადიკალიზაციის განმაპირობებელი რამდენიმე ფაქტორის ტესტირების მიზნით, CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა შერეული მეთოდოლოგიით. კვლევა ჩატარდა თემებში, რომლებმაც კონფლიქტებში დაკარგეს თემის წევრები და მათ მსგავს თემებში, რომლებსაც წევრები არ დაუკარგავთ. კვლევაში გამოყენებულია ჩართული დაკვირვებისა და დაწყვილებული შერჩევის გზით მასობრივი გამოკითხვის მეთოდები. ჩართული დაკვირვება მეტწილად კვლევის ინსტრუმენტების შესარჩევად გამოვიყენეთ, ხოლო დაწყვილებული შერჩევის მეთოდით მასობრივი გამოკითხვა გამოყენებულ იქნა: ა) იმ თემების მაქსიმალურად მსგავსი თემების გამოსავლენად, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს და ბ) ამ თემებს შორის განსხვავებების გამოსააშკარავებლად.

კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს რადიკალიზაციის და მისდამი მედეგობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კვლევა ჩატარდა 2018 წლის ზაფხულში. შესაბამისად, გამოვლენილი განსხვავებების დიდი ნაწილი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ერაყისა და სირიის კონფლიქტებში თემის წევრების დაღუპვის შედეგებით (მაგ: გამკაცრებული პოლიციური კონტროლი, დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების ზრდა). გარდა ამისა, რადიკალიზაციას ბევრი სხვადასხვა ფორმა აქვს. ეს კვლევა ეხება რადიკალიზაციასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქცევას: უცხო ქვეყნების კონფლიქტებში მონაწილეობას. შესაბამისად, შეუძლებელია დარწმუნებით ითქვას, რომ ამ კვლევის შედეგები გამოავლენს რადიკალიზაციის ან მისდამი მედეგობის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს. თუმცა, კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს რიგი პოტენციური ფაქტორების გამოვლენას, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შემდგომი კვლევების ჩატარება.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა შემდეგია: რა უნდა მოიმოქმედონ თემებმა, რომლებმაც უკვე დაკარგეს წევრები უცხო ქვეყნების კონფლიქტებში, რომ თავიდან აიცილონ შემდგომი რადიკალიზაცია და რა განაპირობებს თემების მედეგობას? ამ საკითხთან მიმართებით კვლევაში მოცემული ანალიზი ორ დაშვებას ეფუძნება. პირველი: მიუხედავად იმისა, თუ რა ნაბიჯების გადადგმა იქნება საჭირო, ზომები არ იქნება ეფექტური, თუ ცვლილებებს მხარს თავად თემები არ დაუჭერენ. შესაბამისი თემების კონკრეტული საჭიროებების გამოვლენის მიზნით კვლევის ფარგლებში დაისვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სურთ თავად თემის წარმომადგენლებს თავიანთი თემებისთვის. მეორე: ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თემების დონეზე სხვადასხვა სოციოლოგიური ფაქტორების მხრივ (მაგ: ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის)

[8] იხილეთ ბმული: http://issa-georgia.com/en/eforeign-entity/hedaia/study-of-relationship-of-different-socio-cultural-parameters-education-and-violent-extremism-in-youth-2017/38?fbclid=IwAR3B_9N99kyPuK4jVKRCKsO8OWwY8zjjZg7ekx6NmVSc2hDKm2BLZRybO_0

გამოვლენილი განსხვავებები, პოტენციურად, რადიკალიზაციის ან მისდამი მედეგობის განმაპირობებელი ფაქტორებია. ამის საფუძველზე ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები ეფუძნება მოსაზრებას, რომ ზოგიერთი განსხვავება იმ თემებს შორის, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს და იმ თემებს შორის, რომლებსაც წევრები არ დაუკარგავთ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყო მომავალში რადიკალიზაციის პრევენციისთვის.

რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორების გააზრების გარდა, კვლევის მიზანია, გამოავლინოს, თუ როგორ აისახა თემებზე კონფლიქტებში თემის წევრების დაკარგვა. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შედეგი, დიდი ალბათობით, თემებში პოლიციური კონტროლის გამკაცრებაა. ამ მხრივ, კვლევაში განხილულია, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებთან ურთიერთობას.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია: მომდევნო ნაწილში მიმოხილულია მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც შევეცადეთ, პასუხი გაგვეცა ზემოთ მოყვანილი საკვლევი კითხვებისთვის. შემდეგ თავში კი წარმოდგენილია მიგნებები: პირველ რიგში, კონფლიქტით დაზარალებულ თემებში რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზები და მათი შედეგებია განხილული; შემდეგ კი მიმოხილულია, თუ რა სურთ თემის მაცხოვრებლებს საკუთარი თემებისთვის და ვის მოიაზრებენ ისინი ამ სურვილების განმახორციელებლად. ანგარიში სრულდება დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილით.

მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდოლოგიით, ჩართული დაკვირვებისა და დაწყვილებული შერჩევის გზით მასობრივი გამოკითხვის მეთოდების გამოყენებით. ჩართული დაკვირვება, ძირითადად, გამოყენებული იყო კითხვარის დიზაინის შემუშავებისთვის, თუმცა, მისი მეშვეობით ასევე გაანალიზდა რაოდენობრივი მონაცემები. ქვემოთ მეთოდოლოგია დეტალურადაა განხილული.

მასობრივი გამოკითხვა დაწყვილებული შერჩევის მეთოდით

რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად ჩატარდა გამოკითხვა კლასტერების დაწყვილების მეთოდით. გამოკითხვა კლასტერების დაწყვილების მეთოდით გამოიყენება (შეძლებისდაგვარად) ერთმანეთის მსგავსი დასახლებების გამოსავლენად, რომლებსაც მხოლოდ ერთი მახასიათებელი განასხვავებს. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია, დაუკარგავთ თუ არა თემებს წევრები სირიისა და ერაყის კონფლიქტებში. ღია წყაროების გამოკვლევის, ინტერვიუებისა და ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად მკვლევრებმა შეიმუშავეს 14 თემისგან შემდგარი სია. ცნობილი იყო, რომ ამ თემებმა წევრები კონფლიქტში დაკარგეს. თოთხმეტიდან რვა თემი შეირჩა, სხვა თემები გამოირიცხა, რადგან ვერ მოხერხდა შესაბამისი სოფლებისა თუ დასახლებული პუნქტების იდენტიფიკაცია. მათი მსგავსი თემების გამოვლენის მიზნით გამოვიყენეთ მრავალწევრი დაწყვილების მეთოდი გენეტიკური შეწონვით.[9] შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა საარჩევნო უბნების სია. შერჩევის ჩარჩოდან გამოირიცხა ის თემები, რომელთა შემთხვევაშიც დადასტურებულად ვერ დადგინდა სუნიტი მუსლიმი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ოდენობა. პანკისის თემები დაწყვილდა თემებთან, რომლებსაც კონფლიქტებში წევრები არ დაუკარგავთ, შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- განათლების დონე (უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი);
- მოსახლეობის ზომა;
- თემში ქალების ოდენობა;
- მანძილი რეგიონულ ცენტრამდე, რაც მიუთითებს სავაჭრო ობიექტებისა და კულტურული შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე;
- სიმაღლე ზღვის დონიდან;
- მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- დაშორება მთავარი გზიდან, რაც მეტყველებს სავაჭრო ობიექტების ხელმისაწვდომობაზე.

პანკისის ხეობის თემებისგან განცალკევებით განხორციელდა აჭარელი ეკომიგრანტების თემების დაწყვილება. ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების გარდა მიმსგავსებული თემები ერთი დამატებითი ცვლადის მიხედვით გამოვლინდა: არიან თუ არა ეს თემები ეკომიგრანტები. იმისათვის, რომ გამოგვევლინა თემის წევრების კონფლიქტში დაკარგვის

[9] ამ მეთოდის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: https://www.mitpressjournals.org/doi/10.1162/REST_a_00318

განმაპირობებელი ფაქტორი თავად თემების დონზე, დაწყვილება მოხდა 2014 წლის მონაცემების გამოყენებით. ამის მიზეზი იყო მეტი მონაცემის ხელმისაწვდომობა მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან. საველე სამუშაოების გამარტივების მიზნით, მკვლევრებმა გამოიყენეს ორი ერთზე დაწყვილების მეთოდი; ანუ, თითოეული ისეთი თემისთვის, რომელმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგა, მოიძიეს ორი მსგავსი თემი.

გამოკითხვის ჩატარებისთვის შესაბამისი არეალის შერჩევის შემდეგ შინამეურნეობები შეირჩა შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით. რესპონდენტები შეირჩა კიშის ცხრილის გამოყენებით. კვლევაში 1180-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება კვლევის დიზაინს, გამოკითხვაში სისტემატური სტრატიფიცირების შერჩევა გამოიყენეს. შეწონვა არ განხორციელებულა, რადგანაც კვლევაში ჩართული თემების შესახებ საკმარისი დემოგრაფიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.

გაზომვა

საკვლევი კითხვებისთვის პასუხების გასაცემად კვლევის ინსტრუმენტი მოიცავდა ბლოკებს შემდეგი საკითხების შესახებ:

- ცხოვრების ხარისხი და თემების წინაშე არსებული ძირითადი პრობლემები;
- სოციალური კაპიტალი (ნდობა ინსტიტუტებისა და ადამიანების მიმართ);
- მიგრაცია;
- მედიის მოხმარება;
- ცენტრალური მთავრობის საქმიანობა;
- ადგილობრივი მთავრობის საქმიანობა;
- დამოკიდებულებები არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის მიმართ;
- სოციალური დისტანცია;
- ღრმა რელიგიური რწმენა;
- განცდა, რომ საკუთარი რელიგია იდევნება;
- ეროვნული იდენტობა;
- დემოგრაფია და შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

ღრმა რელიგიური რწმენის, რელიგიური ნიშნით დევნის განცდისა და ეროვნული იდენტობის გასაზომად გამოიყენეს მცირედით მოდიფიცირებული შკალები სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით (ვერკუიტენი და ილდიზი, 2007; ვერკუიტენი და ილდიზი, 2012). სოციალური დისტანციის შესახებ კითხვების შემთხვევაში გამოიყენეს ბოგარდუსის სოციალური დისტანციის შკალის (1925) მცირედით მოდიფიცირებული ვერსია. სხვა საკითხებთან მიმართებით, საზომად კი საქართველოსთვის სტანდარტული შეკითხვები.

მონაცემთა ანალიზი

კვლევაში გამოყენებულია აღწერითი და ინფერენციული სტატისტიკის კომბინაცია. აღწერითი სტატისტიკა, როგორიცაა სიხშირეები და კროსტაბულაციები ზოგად ვითარებას აღწერს, ხოლო ინფერენციული სტატისტიკა გამოყენებულია იმის დასადგენად, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, იკვეთება თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავებები თემებს შორის. ზოგადად, ანგარიშში გამოყენებულია მრავალწევრი ლოგისტიკური ან უმცირეს კვადრატთა რეგრესიული ანალიზი.

ჩართული დაკვირვება

რაოდენობრივი მონაცემების გაანალიზებამდე ოთხ თემში ჩატარდა ჩართული დაკვირვება. ამ თემებს შორის იყო აჭარელი ეკომიგრანტების ერთი თემი, რომელმაც კონფლიქტში წევრები დაკარგა; ასევე ერთი თემი, რომელსაც კონფლიქტში წევრები არ დაუკარგავს. ჩართული დაკვირვება ჩატარდა პანკისისა და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ავარების თემებშიც. თემები შეირჩა როგორც შემთხვევების შედარებითი ანალიზის სუბიექტები; ისინი ბევრი სხვადასხვა კუთხით გვანან ერთმანეთს, თუმცა, სირიისა და ერაყის კონფლიქტებში მათი მაცხოვრებლების მონაწილეობის კუთხით განსხვავდებიან. მკვლევრებმა თითოეული ტიპის თემში ორი კვირა გაატარეს და ავსებდნენ დეტალურ საველე დღიურებს. ეს თვისებრივი მონაცემები შემდგომში გამოიყენეს კითხვარის დიზაინის შემუშავებისა და რაოდენობრივი მონაცემების გაანალიზების პროცესში.

შეზღუდვები

კვლევას აქვს რამდენიმე ცალსახა შეზღუდვა. ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვა ისაა, რომ კორელაცია არ ნიშნავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, ხოლო კვლევა ცალსახად დაკვირვების მეთოდითაა ჩატარებული. ამ ნაკლოვანებასთან გამკლავების მიზნით კვლევის დიზაინი მაქსიმალურად მიმსგავსებული შემთხვევების შესწავლას გულისხმობს. მაქსიმალურად მიმსგავსებული თემების შესწავლისა და მონაცემთა ანალიზისას თეორიული მიდგომების გამოყენების სტრატეგიის მეშვეობით კვლევაში არის მიზეზებისა და შედეგების გამოვლენის გარკვეული მცდელობები. თუმცა, საჭიროა, კვლევის მიგნებებს მოვეკიდოთ დაკვირვების მეთოდით ჩატარებული ნებისმიერი ისეთი კვლევისთვის სათანადო სიფრთხილით, რომელიც ცდილობს რაიმე ფენომენის მიზეზებისა და შედეგების დადგენას.

სირიისა და ერაყის კონფლიქტებში თემის წევრების დაკარგვის მიზეზები და შედეგები

როგორც ამ ანგარიშის შესავალშია აღნიშნული, რადიკალიზაციას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. თუმცა, ფაქტობრივად, არ არსებობს კვლევები, რომლებსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი, იკვეთება თუ არა საქართველოში, თემების დონეზე, რადიკალიზაციის განმაპირობებელი რაიმე ყურადსაღები ფაქტორი; ასევე, თუ რა განაპირობებს თემების მედეგობას რადიკალიზაციასთან მიმართებით. კვლევის ამ ნაწილში გამოვლენილია თემებს შორის არსებული განსხვავებები, რომლებმაც შესაძლოა, განაპირობონ რადიკალიზაცია ან თემების მედეგობა მის მიმართ. რიგი შესაძლო მიზეზების განხილვის გარდა, ასევე მიმოხილულია სირიისა და ერაყის კონფლიქტებში თემის წევრების დაღუპვის ერთ-ერთი შედეგი - მკაცრი პოლიციური ზედამხედველობა, რასაც თემები განიცდიან.

რადიკალიზაციის/თემების მედეგობის შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის მიხედვით, რადიკალიზაციას ეკონომიკური შესაძლებლობების სიმწირე იწვევს. ეს ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რადიკალური იდეოლოგიები იზიდავს. ნაწილობრივ, ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ფინანსურ სარგებელს ეძებენ, ან გაბრაზებულები არიან საზოგადოებაზე, რომელმაც მათ არ მისცა ღირსეული ანაზღაურების გამომუშავების შესაძლებლობა. ეს რომ ჭეშმარიტება იყოს, იმ თემებში, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს, უფრო მაღალ ეკონომიკურ დეპრივაციას უნდა ველოდოთ, ან თემის წევრებს უფრო მეტად უნდა ჰქონდეთ აღქმა, რომ ისინი მოკლებულნი არიან ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ეს მოლოდინი არ გამართლდა, რადგან მონაცემებმა აჩვენა, რომ შინამეურნეობები იმ თემებიდან, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს, მცირედით უფრო მდიდრები არიან, ვიდრე შინამეურნეობები შესადარებელი თემებიდან. შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გასაზომად კითხვარი მოიცავდა შეკითხვებს 11 სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის ფლობის შესახებ. ეს განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების გავრცელებული მიდგომაა. მონაცემების მიხედვით, საკვლევ შინამეურნეობებში, საშუალოდ, 11-დან 5-ზე ოდნავ მეტ ნივთს ფლობენ, შესადარებელ შინამეურნეებებში კი 5-ზე ოდნავ ნაკლებს.



ზემოთ განხილულ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით შეიძლება, გვევარაუდა, რომ თემები, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს, ზოგადად, საცხოვრებლად უფრო ცუდ ადგილებად აღიქმება. ამ ჰიპოთეზის გადასამოწმებლად რესპონდენტებს ვკითხეთ - კარგი ადგილია თუ ცუდი საქართველო და მათი თემი ბავშვის აღსაზრდელად. მოლოდინების საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა, რომ იმ თემების წარმომადგენლები, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს, უფრო მაღალი ალბათობით მიიჩნევენ თავიანთ თემებს კარგ ადგილად ბავშვის აღსაზრდელად.

თქვენი აზრით, ზოგადად, დღეს საქართველო კარგი თუ ცუდი ადგილია ბავშვების აღსაზრდელად?



მეორე გავრცელებული ჰიპოთეზის მიხედვით ადამიანების რადიკალიზაციას მათი ნაცნობები ახდენენ. ხშირ შემთხვევაში, ეს ეხებათ ისეთ ნაცნობებს, ვისაც საზღვარგარეთ უმოგზაურია ან უცხოვრია. ასევე მიიჩნევა, რომ საზღვარგარეთ მიღებულმა პირადმა გამოცდილებამაც შეიძლება, უბიძგოს ადამიანს რადიკალიზაციისკენ. ეს რომ ჭეშმარიტება იყოს, მიგრაციის მაჩვენებლი უფრო მაღალი უნდა იყოს იმ თემებში, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს. მიგრაციის მაჩვენებლის გასაზომად რესპონდენტებს ვკითხეთ საზღვარგარეთ მცხოვრები ან ნამყოფი მეგობრებისა და ოჯახის წევრების შესახებ. მონაცემებმა აჩვენა, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობა და ცხოვრება მნიშვნელოვნად უფრო ხშირია იმ თემებში, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს, რაც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა გამოსახული. ამ კონკრეტულ მიგნებას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. თემებში, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტში დაკარგეს, ადამიანები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ეს, განსაკუთრებით პანკისის ხეობას ეხება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ბევრი ადამიანი იცნობს კონფლიქტში დაღუპულებს, შესაბამისად, ყავთ საზღვარგარეთ წასული მეგობრები და ოჯახის წევრები. რესპონდენტებისთვის არ გვიკითხავს, არსებობდა თუ არა იგივე ნაცნობობა კონფლიქტის დაწყებამდე. შესაბამისად, ეს მიგნება მხოლოდ გარკვეულ დონეზე ამყარებს სანაცნობო წრის გავლენაზე დაფუძნებულ ჰიპოთეზას.



კიდევ ერთი გავრცელებული ჰიპოთეზის მიხედვით რადიკალიზაციის მიზეზი საზოგადოებისგან გაუცხოების შეგრძნებაა. გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტორი თვალსაჩინოა იმ თემებში, რომლებმაც, რადიკალიზაციის გამო, წევრები კონფლიქტში დაკარგეს. თემების დონეზე ამ ჰიპოთეზის გადასამოწმებლად, გამოკითხვისას შევაფასეთ ინტერპერსონალური ნდობა, ასევე ნდობა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. ეს ჰიპოთეზა რომ გამართლდეს, ნდობა უფრო დაბალი უნდა იყოს თემებში, რომლებმაც კონფლიქტებში წევრები დაკარგეს. ამ მოლოდინის საპირისპიროდ, აღმოჩნდა, რომ ინტერპერსონალური ნდობა, ასევე, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების და, ზოგადად, ადამიანების მიმართ ნდობა უფრო მაღალია თემებში, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს.

თემების დონეზე არსებული ბოლო ფაქტორი, რომელმაც შეიძლება, განაპირობოს რადიკალიზაცია, ან თემების მედეგობა რადიკალიზაციის მიმართ, პირადი კონტაქტია სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის. ეს ჰიპოთეზა ოლპორტის კონტაქტის თეორიას ეფუძნება (1954). ამ თეორიის მიხედვით, ადამიანებს, რომლებიც საპირისპირო ჯგუფების წარმომადგენლებს იცნობენ და ურთიერთობენ მათთან, ნაკლებად აქვთ მათთან პირადი პრობლემები. კვლევის შედეგების მიხედვით, ეს ჰიპოთეზა მართებულია. თემებში, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს, მუსლიმები ნაკლები ალბათობით იცნობენ სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს.

გყავთ თუ არა მეგობარი/მეგობრები, რომლებიც არ არიან თქვენი რეგიონიდან?



გყავთ თუ არა მეგობარი/მეგობრები, რომლებიც არ არიან თქვენი ეთნიკური წარმომავლობის?



გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს ... ?



რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები

ფსიქოლოგებმა რადიკალიზაციის გასაზომად არაერთი საშუალების შემუშავება სცადეს. ამ კვლევაში გამოყენებული შკალა რადიკალიზაციასთან დაკავშირებული სამი სხვადასხვა ფაქტორის გაზომვას ისახავს მიზნად, თუმცა, ეს ფაქტორები რადიკალიზაციის პირდაპირი საზომები არ არის. ესენია: ღრმა რელიგიური რწმენა; განცდა, რომ საკუთარი რელიგია იდევნება; ეროვნულ იდენტობასთან მიკუთვნებულობის ნაკლებობა. ამ ფაქტორების გასაზომად კითხვარი მოიცავდა 24 შეკითხვას. ისინი ფაქტორული ანალიზის გამოყენებით შეჯამდა და შემუშავდა ყოველი მონაწილის ქულა თითოეული განზომილების მიხედვით. იმის გასაგებად, განაპირობა თუ არა, სავარაუდოდ, რადიკალიზაციასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები რაიმე სხვა ფაქტორებმა, ჩატარდა მრავალცვლადიანი რეგრესიული ანალიზი.

მონაცემებმა აჩვენა, რომ ღრმა რელიგიური რწმენა მნიშვნელოვნად უფრო მეტადაა გავრცელებული იმ თემებში, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტში დაკარგეს, იმ თემებთან შედარებით, სადაც ეს არ მომხდარა. შესაბამისად, ეს ფაქტორი რადიკალიზაციას უკავშირდება. გარდა ისეთი თემის წევრობისა, რომელმაც კონფლიქტში წევრები დაკარგა, კვლევამ ღრმა რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებული რიგი სხვა ფაქტორები გამოავლინა. პირველი: ინტერნეტის მომხმარებლები უფრო მაღალი ალბათობით არიან ღრმა რელიგიური რწმენის მატარებლები. მეორე: უფრო შეძლებული რესპონდენტები, საშუალოდ, ასევე მცირედით უფრო მაღალი ალბათობით მიუთითებენ, რომ ღრმად მორწმუნეები არიან. თუმცა, იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტში დაკარგეს, შედარებით შეძლებული ადამიანები, საშუალოდ, მცირედით ნაკლები ალბათობით აცხადებენ იგივეს. ისეთი მეგობრებისა და ოჯახის წევრების ყოლა, რომლებსაც საზღვარგარეთ ***უმოგზაურიათ,*** დაკავშირებულია ღრმა რელიგიური რწმენის ნაკლებ ხარისხთან. ამის საპირისპიროდ, საზღვარგარეთ ***მცხოვრები*** მეგობრების ყოლა ღრმა რელიგიური რწმენის მნიშვნელოვნად მაღალ ხარისხს უკავშირდება. ღრმა რელიგიური რწმენა, მეტწილად, თანაბრად ვლინდება ქრისტიანებსა და მუსლიმებში, ქართველებსა და არაქართველებში, ქალებსა და კაცებში, ახალგაზრდებსა და ხანშიშესულ ადამიანებში.



ზემოთ მოყვანილი მიგნებები რამდენიმე მინიშნებას შეიცავს. პირველი: ღრმა რელიგიური რწმენა უფრო ფართოდაა გავრცელებული იმ თემებში, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს. შესაბამისად, ღრმა რელიგიური რწმენა, შესაძლოა, ექსტრემიზმის განვითარებას უკავშირდებოდეს. ამასთან, ქრისტიანები და მუსლიმები, ასევე ქართველები და არაქართველები ღრმა რელიგიური რწმენის მსგავს ხარისხს ავლენენ. ამის გათვალისწინებით შესაძლოა, დავასკვნათ, რომ თუ რადიკალიზაცია ნამდვილად უკავშირდება ღრმა რელიგიურ რწმენას, მაშინ საქართველოში ქრისტიანები, გარკვეულწილად, ასევე დგანან რადიკალიზაციის საფრთხის წინაშე. ეს მიანიშნებს, რომ საქართველოში რადიკალიზაცია არ არის მხოლოდ მუსლიმ თემთან დაკავშირებული პრობლემა. ამ დასკვნას ძალადობრივ ულტრა-მემარჯვენე ექსტრემიზმთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი მოვლენებიც ამყარებს. თუმცა, ამის დადასტურებას შემდგომი კვლევა სჭირდება. უფრო კონკრეტულად, შესაძლოა, ჩატარდეს ლაბორატორიული ან მასობრივი გამოკითხვის ექსპერიმენტი, რომელიც კონცენტრირდება ამ მახასიათებლებზე და გაზომავს მათ გავლენას დამოკიდებულებებზე.

მეორე: საშუალოდ, უფრო შეძლებული ადამიანები უფრო ღრმად მორწმუნეები არიან. ეს ეწინააღმდეგება ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა რადიკალიზაციას ახალისებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ თემებში, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტში დაკარგეს, შეძლებული ადამიანები ნაკლებად ღრმად მორწმუნეები არიან, ამ მიგნების ინტერპრეტაციას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. შექმნილი ვითარება, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთმიმართებამ გამოიწვია, მათ შორის, ისეთმა გარემო ფაქტორებმა, რომლებიც არ ყოფილა კვლევის საგანი.

მიუხედავად იმისა, რომ ღრმა რელიგიური რწმენა დამახასიათებელია თემებისთვის, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს, საჭიროა სათანადო სიფრთხილე ამ

მიგნების საჯარო პოლიტიკის დაგეგმარებაში გამოყენებისას. დაუშვებელია, იდევნებოდეს რელიგიური თავისუფლება, მათ შორის, ღრმა რელიგიური რწმენა. და მართლაც, რელიგიური ნიშნით დევნის განცდა არის მეორე ფაქტორი, რომელიც კვლევაშია განხილული. ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა, განსხვავდებიან თუ არ თემები ამ ფაქტორის მიხედვით.

მოდელი 2: რელიგიური კუთვნილების გამო დევნა



კვლევამ აჩვენა, რომ სხვა ფაქტორების გაკონტროლების ფონზე, თემები, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტში დაკარგეს, მნიშვნელოვნად მეტი ან ნაკლები ალბათობით არ ფიქრობენ, რომ მათი რელიგია იდევნება. თუმცა, ქრისტიანებთან შედარებით, მუსლიმებს უფრო მეტად აქვთ რელიგიური ნიშნით დევნის შეგრძნება. რელიგიური ნიშნით დევნის შეგრძნება უფრო ძლიერადაა გამოხატული ინტერნეტის მომხმარებლებშიც. არ გამოვლინდა სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს, ადამიანებს უფრო მეტად თუ უფრო ნაკლებად აქვთ შეგრძნება, რომ მათი რელიგია იდევნება.

რადიკალიზაციის მესამე შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორი ეროვნულ თემთან კავშირია. მიიჩნევა, რომ მიკუთვნების დაბალი ხარისხი რადიკალიზაციას უკავშირდება. მონაცემები აჩვენებს, რომ იმ თემებს შორის, რომლებმაც დაკარგეს და არ დაუკარგავთ წევრები კონფლიქტში, მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არსებობს. ეროვნულ თემთან მიკუთვნების კუთხით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ორი განმაპირობებელი ფაქტორი გამოვლინდა - ეთნიკური ქართველობა და ეკომიგრანტის სტატუსი. ორივე ცვლადი ეროვნულ თემთან უფრო ახლო კავშირზე მიუთითებს.

შესაძლო შედეგები

სირიისა და ერაყის კონფლიქტებში თემის წევრების დაკარგვის შემდეგ დაზარალებულ თემებში გაჩნდა განცდა, რომ გამკაცრდა მათზე პოლიციის ზედამხედველობა. ეს ანგარიში არ განიხილავს, თუ რამდენად ეფექტურია უსაფრთხოების ზომები სირიასა და ერაყში მებრძოლთა გადინების პრევენციისთვის. თუმცა, უსაფრთხოების ზღვარგადასულმა გაძლიერებამ ადამიანებს შესაძლოა რადიკალიზაციისკენ უბიძგოს, რადგან ეს აძლიერებს ეროვნული თემისგან გაუცხოების განცდას. ასევე, ძლიერდება განცდა, რომ საქართველოში მუსლიმები იდევნებიან.

კვლევის მონაწილეებს დავუსვით შეკითხვები, რათა გაგვეგო მათი დამოკიდებულებები უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიმართ. მათ შორის, ვკითხეთ, თუ რამდენად ენდობიან ისინი პოლიციას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯარს. შედეგებმა აჩვენა, რომ პანკისის მაცხოვრებლები მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები ალბათობით ენდობიან ამ ინსტიტუტებს, ვიდრე შესადარებელი თემები.





ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების მიმართ არსებული ნდობის ხარისხის გარდა, გამოვიკვლიეთ პოლიციის მიმართ დამოკიდებულებაც. შედეგები აჩვენებს, რომ თემებში, რომლებმაც კონფლიქტში თემის წევრები დაკარგეს, ადამიანები მნიშვნელოვნად უფრო მეტი ალბათობით მიუთითებენ, რომ თავს არაკომფორტულად გრძნობენ პოლიციასთან ურთიერთობისას; ასევე მიაჩნიათ, რომ პოლიციას მათ თემებში ზედმეტად დიდი ძალაუფლება აქვს. არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები პასუხებში კითხვაზე, პოლიცია რადიკალურად განწყობილი ადამიანების პოვნით უფროა დაკავებული თუ კრიმინალის აღმოფხვრით.



ზემოთ მოყვანილი მონაცემები მიუთითებს, რომ აშკარად პრობლემურია ურთიერთობა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებსა და იმ თემებს შორის, რომლებმაც წევრები კონფლიქტში დაკარგეს. როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, აქაც, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებსა და მოსახლეობას შორის ნდობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან თემები მოწინავე ხაზზე დგანან დანაშაულთან, მათ შორის, ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლაში. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ვითარება, სავარაუდოდ, ამ თემებში პოლიციის აქტივობებითაა გამოწვეული, კვლევის შედეგად პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა გამოიკვეთა. თვისებრივი მონაცემების შეგროვებისას, არაერთმა ადამიანმა მიუთითა, რომ ადგილობრივებს პოლიციაში არ ასაქმებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პოლიციაში მუშაობით დაინტერესებულები არიან. ნდობის ნაკლებობის პირობებში, ადგილობრივმა პოლიციელებმა, შესაძლოა, გაუმჯობესონ ურთიერთობები პოლიციასა და იმ თემებს შორის, რომლებმაც კონფლიქტში წევრები დაკარგეს. და ბოლოს, ვითარება შესაძლოა გაუმჯობესოს პოლიციელებისთვის რელიგიურ საკითხების შესახებ მგრძნობელობის ამაღლებისკენ მიმართულმა ტრენინგებმა, რადგანაც, მუსლიმებს, იმისდა მიუხედავად, დაკარგეს თუ არა თემის წევრები კონფლიქტში, ზოგადად აქვთ განცდა, რომ იდევნებიან.

რა სურთ იმ თემის წარმომადგენლებს, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს

თემების დონეზე არსებულმა მრავალმა შესაძლო ფაქტორმა შეიძლება, უბიძგოს ან მიიზიდოს თემის წევრები რადიკალიზაციისკენ. იმ აქტორებმა, რომლებიც საქართველოს მუსლიმურ თემებში ძალადობრივი ექსტრემიზმს ებრძვიან, ან მათ პრევენციაზე მუშაობენ, ამ ფაქტორებს ყურადღება უნდა მიაქციონ. თუმცა, ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც შემდგომი რადიკალიზაციის თავიდან აცილებისკენაა მიმართული, თავად თემის მიერ უნდა იყოს მხარდაჭერილი. ამის გათვალისწინებით, ამ ნაწილში შევეცდებით, პასუხი გავცეთ ორ კითხვას:

- რა სურთ დაზარალებულ თემებში და რითი განსხვავდება მათი სურვილები სხვა მსგავსი თემების წარმომადგენლების სურვილებისგან?
- თემის წევრების აზრით, რომელმა ორგანიზაციებმა/უწყებებმა უნდა იმუშაონ მათი საჭიროებების უზრუნველყოფის მიმართულებით?

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ანგარიშის ამ ნაწილში განხილული საკითხები არ უნდა მივიღოთ რადიკალიზაციის/მედეგობის განმაპირობებელ ფაქტორებად, თუ ეს მითითებული არაა.

პრობლემები თემებში

ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხების გასაცემად რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ რა არის ქვეყნის და კონკრეტულად მათი თემების უმთავრესი პრობლემა. როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, ამ შემთხვევაშიც პასუხების უმეტესობა ეკონომიკურ მდგომარეობას ეხებოდა. აჭარის ეკომიგრანტების თემების 59%-მა და პანკისის მოსახლეობის 58%-მა მთავარ პრობლემად უმუშევრობა დაასახელა. ამის საწინააღმდეგოდ, შესადარებელი თემებიდან მხოლოდ 44%-მა გასცა იგივე პასუხი. თუმცა, შესადარებელ თემებში მცირედით უფრო ხშირად დასახელდა სიღარიბე.



რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ საკითხებს, პანკისის ხეობაში ყველაზე პრობლემურად წყლის მომარაგება დასახელდა. ამას მოსდევს სპორტული დაწესებულებების ნაკლებობა და გზები. ცნობისთვის, აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, ასევე შესადარებელ თემებშიც, გზები ყველაზე ხშირად დასახელდა.



შენიშვნა: ზემოთ მოყვანილ გრაფიკზე პროცენტები 100%-ად არ ჯამდება, რადგან რესპონდენტებს წარმოდგენილი სიიდან სამი საკითხის არჩევა შეეძლოთ.

თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, მნიშვნელოვნად უფრო ხშირად ასახელებენ არაერთ სხვა ინფრასტრუქტურულ საკითხს იმ თემებთან შედარებით, რომლებსაც წევრები კონფლიქტში არ დაუკარგავთ. პანკისის მაცხოვრებლები მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ალბათობით მიუთითებენ სპორტული და კულტურული დაწესებულებების ნაკლებობაზე. პანკისის მოსახლეობის მესამედმა (32%) აღნიშნა, რომ სპორტული დაწესებულებების ნაკლებობა მათ თემში ერთ-ერთი უმთავრესი ინფრასტრუქტურული პრობლემაა. 19%-მა კულტურული დაწესებულებები დაასახელა, როგორებიცაა ბიბლიოთეკები და მუზეუმები, 17%-მა კი - სათამაშო მოედნები. გასართობი დაწესებულებების ნაკლებობა პანკისს განასხვავებს როგორც მათი მსგავსი იმ თემებისგან, რომლებსაც არ დაუკარგავთ წევრები კონფლიქტებში, ასევე, სხვა თემებისგან, რომლებმაც წევრები კონფლიქტში დაკარგეს. პანკისისგან განსხვავებით, სხვა თემები, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, უფრო მეტად გვანან თემებს, რომლებსაც წევრები კონფლიქტებში არ დაუკარგავთ. სკოლების ინფრასტრუქტურა ერთადერთი საკითხია, რომელთან მიმართებითაც მნიშვნელოვნად განსხვავებული მაჩვენებლები გამოვლინდა: აჭარელი ეკომიგრანტების თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, 25%-მა აღნიშნა, რომ მათ თემში სკოლების ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემაა. შესადარებელი თემების მხოლოდ 6%-მა და პანკისის მაცხოვრებლების 13%-მა განცხადა იგივე.

საჯარო სერვისებით კმაყოფილება

საჯარო სერვისები მოქალაქეების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მთავრობის ეფექტურობა დიდწილად განსაზღვრავს ცხოვრების ხარისხს, რაც გამოიხატება ზოგიერთი საჯარო ტრანსპორტის ორგანიზებასა თუ ნაგვის გადამუშავების სერვისის მიწოდებაში. მთავრობის მუშაობის შესაფასებლად რესპონდენტებს ვკითხეთ 14 სხვადასხვა საჯარო სერვისის შესახებ.

მონაცემებმა აჩვენა, რომ პანკისში ბევრი მოქალაქე საჯარო სერვისების დიდი ნაწილით არ სარგებლობს. სულ მცირე 15%-ს 14-დან 10 სერვისი არ გამოუყენებია. ისინი, ვინც აცხადებენ, რომ უსარგებლიათ ამ საჯარო სერვისებით, მეტ-ნაკლებად კმაყოფილები არიან ნაგვის გატანით, გარე განათებით, საბავშვო ბაღებითა და სკოლამდელი აღზრდის ცენტრებით და გზებით. შედარებისთვის, მოსახლეობა ნაკლებად კმაყოფილია სოციალური დახმარებით, ბიბლიოთეკებით, საჯარო ტრანსპორტით, მუზეუმებით, სარიტუალო მომსახურებით, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებით და კანალიზაციით.



პანკისის მსგავსად, აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ კითხვარში მოცემული ბევრი სერვისი არ გამოუყენებია. სულ მცირე 30%-ს 14-დან რვა სერვისი არ გამოუყენებია. ისინი, ვისაც ეს სერვისები გამოუყენებია, უფრო კმაყოფილები არიან, ვიდრე უკმაყოფილოები შემდეგი სერვისებით: გარე განათება, საბავშვო ბაღები და სკოლამდელი აღზრდის ცენტრები, ნაგვის გატანა და საჯარო ტრანსპორტი. შედარებისთვის, ადამიანები უფრო უკმაყოფილოები არიან, ვიდრე კმაყოფილები შემდეგი სერვისებით: გზები, სოციალური დახმარება, მუზეუმები და კანალიზაცია.



რაც შეეხება შესადარებელ თემებს, გამოკითხულთა დაახლოებით იგივე ოდენობას არ უსარგებლია საჯარო სერვისებით. კმაყოფილების ხარისხიც მეტ-ნაკლებად მსგავსია. გამონაკლისია მუზეუმები. შესადარებელ თემებში ამ სერვისით უფრო მეტი ადამიანია კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო.



ზემოთ მოყვანილ მონაცემებს რამდენიმე მიგნებამდე მივყავართ. პირველი: საჯარო სერვისები დაახლოებით ერთნაირად მიეწოდებათ დაზარალებულ და შესადარებელ თემებს. მეორე: მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყენებს მათთვის ხელმისაწვდომ ბევრ სერვისს. ეს შეიძლება, მიუთითებდეს სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე, ან საჭიროების არარსებობაზე. მესამე: როგორც წესი, ადამიანები უკმაყოფილოები არიან კანალიზაციით, ვაჭრობის რეგულაციით, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებით. შედარებისთვის, მოქალაქეები შედარებით კმაყოფილები არიან ნაგვის გატანითა და გარე განათებით.

რა სურთ ადამიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო აქტორებისგან

მთავრობის გარდა, თემების მხარდაჭერაში მნიშვნელოვან როლს არასამთავრობო ორგანიზაციებიც ასრულებენ. იმის გასაგებად, თუ რა სურთ ადამიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, დაისვა ორი შეკითხვა: რა საკითხებზე მუშაობენ არასამთავრობოები თემებში და რა საკითხებზე სურთ თემებს, რომ არასამთავრობოებმა უფრო მეტად იმუშაონ. შედეგებმა აჩვენა, რომ პანკისის ხეობაში ყველაზე მეტად მოსახლეობა არასამთავრობოების მუშაობას განათლების მიმართულებით ამჩნევს (55%). ამას მოსდევს ქალთა და ახალგაზრდობის საკითხები. შედარებისთვის, ადამიანებს სურთ, რომ არასამთავრობოებმა, ძირითადად, იმუშაონ დასაქმების, სიღარიბის აღმოფხვრისა და ჯანდაცვის მიმართულებებით. ამას მოსდევს ახალგაზრდობის საკითხები, განათლება, სოციალური დახმარება და პროფესიული განათლება. მოსახლეობის 10%-ზე მეტმა ასევე დაასახელა რეგიონული განვითარება და უმცირესობათა უფლებები.



პანკისში მოსახლეობის სურვილები საკმაოდ ნათელია. აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემების წარმომადგენლები კი, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, საერთოდ ვერ ხედავენ არასამთავრობოების საქმიანობას მათ თემებში. მთლიანობაში, აჭარელი ეკომიგრანტების თემების 78% აცხადებს, რომ არ იცის, რას აკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციები მათ თემებში, ან ვერ ამჩნევს მათ თემებში არასამთავრობოების საქმიანობას. 4%-ზე მეტმა კითხვაზე, თუ რაზე მუშაობენ არასამთავრობოები მათ თემებში აირჩია ვარიანტი - არ ვიცი/უარი პასუხზე. თუმცა, ამ თემებში არის მოთხოვნა არასამთავრობოების საქმიანობაზე. მოსახლეობა ყველაზე მეტად დაინტერესებულია დაახლოებით იმავე სფეროებით, რომლებიც პანკისელებმა დაასახელეს: სიის სათავეში უმუშევრობა, ჯანდაცვა და სიღარიბის აღმოფხვრა მოექცა. მათ მოსდევს განათლება, სოციალური დახმარება და ახალგაზრდობის საკითხები.



კითხვარი ასევე მოიცავდა შეკითხვას, თუ ახალგაზრდებთან დაკავშირებული რა სახის პროგრამების განხორციელება სურს მოსახლეობას არასამთავრობოების მხრიდან. მონაცემებმა აჩვენა, რომ პანკისში უმთავრესი საკითხი დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაა. მას მოსდევს პროფესიული განათლება, სამოქალაქო ჩართულობა და სპორტული ღონისძიებები. პანკისში, საკონტროლო თემებსა და აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებთან შედარებით, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, უფრო მეტმა ადამიანმა განაცხადა, რომ, მათი აზრით, უნდა ჩატარდეს ბიზნეს ტრენინგები ახალგაზრდებისთვის. აჭარელი ეკომიგრანტების თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, ყველაზე გავრცელებული პასუხი ასევე დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარება იყო. ამას მოსდევს პროფესიული განათლება და ინგლისური ენის სწავლება.



პანკისსა და აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, ახალგაზრდებისა (30 წელზე ნაკლები) და ხანშიშესული ადამიანების შეხედულებები მსგავსია იმასთან დაკავშირებით, თუ რაზე სურთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდებთან იმუშაონ. პანკისში ახალგაზრდების მნიშვნელოვნად უფრო დიდი ნაწილს სურს, რომ არასამთავრობოებმა სპორტული ღონისძიებები და ბიზნეს ტრენინგები ჩაატარონ. მონაცემებმა აჩვენა, რომ აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, ახალგაზრდების უფრო მეტი ნაწილია დაინტერესებული დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებით, ინგლისური ენის სწავლებითა და სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული ღონისძიებებით.





კითხვარში მსგავსი კითხვები საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებითაც დაისვა: რა საკითხებზე მუშაობენ და რა საკითხებზე სურთ მაცხოვრებლებს, რომ იმუშაონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა. პანკისში, მაცხოვრებლების საერთაშორისო

ორგანიზაციების მუშაობას პირველ რიგში, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერის მიმართულებით ხედავენ. ამას მოსდევს განათლება, ახალგაზრდობისა და ქალთა საკითხები. ადგილობრივებს ყველაზე მეტად სურთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უმუშევრობის საკითხზე იმუშაონ; ასევე მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაზე, სიღარიბის აღმოფხვრაზე, ჯანდაცვასა და ახალგაზრდობის საკითხებზე.



აჭარელი ეკომიგრანტების შემთხვევაში, ისევ და ისევ, ნათელია, რომ მოსახლეობა ვერ ხედავს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას მათ თემებში. რაც შეეხება საკითხებს, რომლებზეც ადგილობრივებს სურთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა იმუშაონ, ყველაზე ხშირად ისევ უმუშევრობა და ჯანდაცვა დასახელდა. მათ მოსდევს განათლება და სიღარიბის აღმოფხვრა.



ზემოთ მოყვანილი შედეგები გვაძლევს რამდენიმე მინიშნებას, თუ მთავრობის მიღმა, რას მოელიან არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ის თემები, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს. პირველი: ადამიანების მოლოდინები არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ნაკლებად შეესაბამება არასამთავრობოების რეალურ შესაძლებლობებს. ჯანდაცვა, უმუშევრობა და სიღარიბის აღმოფხვრა ის ძირითადი საკითხებია, რაზეც მოსახლეობას სურს არასამთავრობოებისგან მეტი მუშაობა იხილოს. არასამთავრობოები პირდაპირ არცერთ ამ თემაზე არ მუშაობენ. თუმცა, ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ, ზოგადად, არის მოთხოვნა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროექტებზე.

მეორე: არის საკითხები, რომლებზეც არასამთავრობოები მუშაობენ, თუმცა, მოსახლეობას სურს, რომ მათ ამ მიმართულებით მეტი იმუშაონ. მაგალითად, პანკისის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა აღნიშნა, რომ ისინი ამჩნევენ არსამთავრობოების მუშაობას განათლების მიმართულებით, ხოლო 27%-მა მიუთითა, რომ მათ სურთ, არასამთავრობოებმა განათლებაზე მეტი იმუშაონ. ეს მიგვანიშნებს, რომ არის მოთხოვნა განათლების თემაზე არსებული არსამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების გაფართოებასა ან/და გამრავალფეროვნებაზე. ამის მსგავსად, არასამთავრობოები ხშირად მუშაობენ ახალგაზრდობის საკითხებზე და ამას პანკისის მაცხოვრებლებიც ამჩნევენ. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ საჭიროა მეტი მუშაობა ახალგაზრდებთან და განათლების მიმართულებით.

მესამე: გამოვლინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საერთოდ არ მუშაობენ აჭარელი ეკომიგრანტების თემებთან. ამაზე მიუთითებს ის, რომ ადგილობრივების უმეტესობას არ სმენია მათ თემებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. შესაბამისად,

ნათელია, რომ საჭიროა ამ თემებთან მუშაობა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ არიან ადამიანები, რომლებიც რადიკალიზაციის რისკის წინაშე დგანან.

მეოთხე: რაც შეეხება ახალგაზრდებს, ყველაზე მეტად მოსახლეობას სურს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მათთან დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე იმუშაონ. პანკისელები განსაკუთრებით არიან დაინტერესებული პროფესიული განათლებით. აჭარელი ეკომიგრანტების თემები, რომლებმაც წევრები კონფლიქტში დაკარგეს, შედარებით დაინტერესებული არიან ინგლისური ენის სწავლებით. პანკისში ასევე სურთ სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

ვინ უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილის მიწოდება?

მეტ-ნაკლებად ნათელია, თუ რა სურთ ადგილობრივებს, მაგრამ რომელ უწყებებსა და ორგანიზაციებს მოიაზრებენ ისინი მიმწოდებლებად? ამის გასაგებად რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ რამდენად ენდობიან ისინი სხვადასხვა აქტორებს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს.

მონაცემებმა აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორ წესი, ენდობიან. თუმცა, პანკისში ნდობა უფრო მაღალია ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, თბილისში დაფუძნებულ ორგანიზაციებთან შედარებით. თემში დაფუძნებულ არასამთვრობო ორგანიზაციებს პანკისელების 44% ენდობა, თბილისურ ორგანიზაციებს კი მხოლოდ 16%. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს 32% ენდობა. ამის საპირისპიროდ, აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტში დაკარგეს, სხვადასხვა ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ განსხვავებული მიდგომები არ აქვთ. იგივე შეიძლება ითქვას შესადარებელ თემებზეც. აღსანიშნავია, რომ აჭარელი ეკომიგრანტების თემებში ადამიანების დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ მათ არასოდეს სმენიათ ასეთი ორგანიზაციების შესახებ. ეს ამყარებს მიგნებას, რომ ამ თემებში არასამთავრობო ორგანიზაციები არ მუშაობენ.



რაც შეეხება კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადამიანების უმეტესობას, არცერთ თემში არ სმენია მათ შესახებ. გამონაკლისია წითელი ჯვარი. ამ შედეგების ნახვისას, პანკისის ხეობის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა მკვლევართა გუნდს უთხრა, რომ პანკისში, ბევრის აზრით, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად ადამიანები ნაკლებად იცნობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.



მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს ნაკლებად იცნობენ, პანკისის მაცხოვრებლები ძირითადად იცნობენ და ენდობიან ორგანიზაციებს, რომლებიც მათ თემებში მუშაობენ. რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ პანკისში არსებულ ექვს სხვადასხვა ინსტიტუტთან მიმართებით. ამ ინსტიტუტებს შორის იყო ქალთა საბჭო და უხუცესთა საბჭო. შედეგების მიხედვით, ქალთა საბჭოსა და უხუცესთა საბჭოს შესახებ თითქმის ყველას სმენია. მოსახლეობა ასევე ძირითადად იცნობს და ენდობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.



როცა ვსაუბრობთ სხვადასხვა აქტორებზე, ნათელია, რომ პანკისის მაცხოვრებლები უფრო მეტად ენდობიან ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებს, ვიდრე ეროვნულ ინსტიტუტებს. ამასთან, შედარებით ნაკლებ ადამიანს სმენია თბილისში დაფუძნებული კონკრეტული ინსტიტუტების შესახებ. აჭარელი ეკომიგრანტების თემებში, ზოგადად, დაბალია არსამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობადობა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ორგანიზაციები ამ თემებს არასაკმარის ყურადღებას უთმობენ.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევაში მოყვანილი მონაცემებისა და ანალიზის შედეგად შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

პირველ რიგში, რიგი ფაქტორების გაკონტროლების ფონზე, რელიგია (მაგ: ქრისტიანობის ან ისლამის მიმდევრობა) არ აღმოჩნდა დაკავშირებული რადიკალიზაციის სავარაუდო განმაპირობებელ ფაქტორებთან - ღრმა რელიგიურ რწმენასთან ან ეროვნული თემისგან გაუცხოებასთან; შესაბამისად, ქართულ საზოგადოებაში მხოლოდ ისლამურ რადიკალიზაციაზე ყურადღების გამახვილება უმართებულოა. მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში რადიკალიზაცია უფრო ფართოდ გავრცელებული პრობლემაა და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზე ახდენს გავლენას. და მართლაც, საქართველოში ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებული ბოლო პერიოდის მოვლენები მიუთითებს, რომ ქვეყანას რადიკალური ექსტრემიზმის გამოვლინება სხვადასხვა იდეოლოგიის საფუძველზე ემუქრება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- საქართველოში რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯები ეხებოდეს ექსტრემიზმის ყველა ფორმას და არა მხოლოდ ჯიჰადისტურ ექსტრემიზმს.

მეორე: რიგი ფაქტორების გაკონტროლების ფონზე, შეგრძნება, რომ საკუთარი რელიგია იდევნება, არ უკავშირდება მაინცდამაინც იმ თემებს, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს. თუმცა, ეს ფაქტორი იკვეთება ზოგადად ისლამთან მიმართებით. სამართლებრივი დევნის განცდა, რომელსაც მუსლიმები საქართველოში განიცდიან, არ არის დამახასიათებელი მხოლოდ იმ თემებისთვის, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, მაგრამ ეს ფაქტორი შეიძლება, მივიჩნიოთ რადიკალიზაციის გამომწვევად. ეს მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება ისლამისადმი უფრო მიმღებლური უნდა გახდეს. არაერთი კვლევა მიუთითებს, რომ ჯგუფებს შორის კონტაქტი ტოლერანტობის ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა (იხ. ოლპორტი 1954). საქართველოში ჩატარებული კვლევებიც იმავე დასკვნებამდე მიდის (იხ. CRRC 2017; მესტვირიშვილის და სხვ. 2017). შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- საქართველოში განხორციელდეს პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის დიალოგს წაახალისებს.

ეს რეკომენდაცია კიდევ უფრო ყურადსაღებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მუსლიმებს კონფლიქტებში ჩართული თემებიდან მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები ალბათობით ჰყავთ სხვა რელიგიის ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი მეგობრები იმ მუსლიმებთან შედარებით, რომლებიც მსგავს თემებში ცხოვრობენ, მაგრამ კონფლიქტებში თემის წევრები არ დაუკარგავთ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- განხორციელდეს პროგრამები, რომლებიც ეთნიკურ ჯგუფებს შორის დიალოგს წაახალისებს;

- ახალგაზრდებზე მიმართულმა პროგრამებმა წაახალისოს ურთიერთობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსა (განსაკუთრებით პანკისის შემთხვევაში) და სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს (განსაკუთრებით აჭარელი ეკომიგრანტების თემების შემთხვევაში) შორის.

თემებს, რომლებმაც კონფლიქტებში თემის წევრები დაკარგეს, გამკაცრებული პოლიციური კონტროლის განცდა აქვთ. ამაზე მეტყველებს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მსგავსი თემის მაცხოვრებლები უფრო ნაკლები ალბათობით ენდობიან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებს. ამასთან, ისინი უფრო მაღალი ალბათობით აცხადებენ, რომ არაკომფორტულად გრძნობენ თავს პოლიციასთან ურთიერთობისას და რომ პოლიციას მათ თემებში ზედმეტად დიდი ძალაუფლება აქვს. ეს მიანიშნებს, რომ პოლიციის მოქმედებები პრობლემური საკითხია თემებისთვის, რომელთა წევრებიც კონფლიქტებში დაიღუპნენ. თუ მაცხოვრებლები პოლიციას არ ენდობიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ შესაბამის ორგანოებს შეატყობინონ საეჭვო შემთხვევების შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის უარყოფითმა გამოცდილებამ, შესაძლოა, კიდევ უფრო წაახალისოს რადიკალიზაცია. ამ შედეგების გათვალისწინებით რეკომენდებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

- იმუშაოს პოლიციის სამოქმედო სტრატეგიის შექმნაზე იმ თემებში, რომლებმაც თემის წევრები კონფლიქტებში დაკარგეს;
- პოლიციელების დასაქმებისას უპირატესობა მიანიჭოს თემის წევრებს;
- ჩაატაროს ტრენინგები პოლიციელებისთვის რელიგიურ მგრძნობელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იყენებს სახელმწიფო სერვისების დიდ ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ სერვისებზე ხელი მიუწვდებათ. თუმცა, ეს არ არის დამახასიათებელი მხოლოდ იმ თემებისთვის, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს. ეს მიანიშნებს, რომ სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორი არ არის. თუმცა, ეს ასევე მიუთითებს, რომ მთავრობამ უნდა აამაღლოს მოსახლეობის ცნობიერება მათთვის ხელმისაწვდომის სერვისების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ადგილობრივმა და ცენტრალურმა მთავრობამ:

- აამაღლოს მოსახლეობის ცნობიერება მათთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

რაც შეეხება ადამიანების მოლოდინებს სხვადასხვა ინსტიტუტებთან მიმართებით, მონაცემები მიუთითებს, რომ თემების მოლოდინები არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებით არ შეესატყვისება იმას, რისი მიწოდებაც ამ ორგანიზაციებს რეალურად შეუძლიათ. მოსახლეობას ყველაზე უფრო მეტად სურს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა იმუშაონ ჯანდაცვის, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირების მიმართულებებით. თუმცა, ეს სფეროები იშვიათადაა არასამთავრობო ორგანიზაციების მანდატის ნაწილი, თუ ეს არ ეხება ჰუმანიტარულ საქმიანობას. ამის მიუხედავად, აღნიშნული პასუხები მიუთითებს, რომ თემებს აქვთ მოთხოვნა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ეკონომიკური

განვითარების კუთხით განხორციელებულ პროექტებზე. ამ დასკვნას ამყარებს შემდეგი გარემოებაც: ერთ-ერთი ძირითადი პროგრამული მიმართულება, რომლის განხორციელებასაც რესპონდენტები საერთაშორისო აქტორებისგან მოელიან, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაა. ყველაზე მეტად ეკონომიკის სექტორებს შორის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის განვითარებითაა დაინტერესებული, პანკისში კი მეორე ადგილზე ტურიზმი დასახელდა. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- პანკისში გაგრძელდეს ან/და გაფართოვდეს პროექტები, რომლებიც მიმართულია მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერისკენ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებში.
- განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული პროექტების მსგავსი პროექტები აჭარელი ეკომიგრანტების თემებისთვის.

მართალია, მოსახლეობას სურს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ძირითადად, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით იმუშაონ, ასევე მნიშვნელოვანია მოთხოვნა სხვა სფეროებზეც. ასეთ სფეროებს შორის პანკისის მოსახლეობამ ყველაზე ხშირად განათლება დაასახელა. ამასთან, მოსახლეობის მეოთხედის სურვილია, რომ არასამთავრობოებმა განათლებასთან დაკავშირებული უფრო მეტი აქტივობა განახორციელონ. ეს მიუთითებს, რომ პანკისში არის მოთხოვნა განათლებასთან დაკავშირებული პროგრამების გაფართოებასა ან/და გამრავალფეროვნებაზე. არსებული პროგრამების გარდა, პანკისის მაცხოვრებლები განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან პროფესიული განათლებით, ბიზნესის საკითხებზე ტრენინგით ახალგაზრდებისთვის და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგებით. აჭარელი ეკომიგრანტების იმ თემებში, რომლებმაც წევრები კონფლიქტებში დაკარგეს, ასევე გამოვლინდა მოთხოვნა საგანმანათლებლო პროგრამებზე, კონკრეტულად კი ინგლისური ენის სწავლებაზე. ამ მონაცემების საფუძველზე რეკომენდებულია, რომ:

- გამოიყოს დამატებით ფონდები პანკისში საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოებისთვის;
- დაინერგოს პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამები, რომლებიც უფრო ხელმისაწვდომი იქნება პანკისის ხეობის მაცხოვრებლებისთვის (მაგ: დაწესდეს სტიპენდიები ან შემუშავდეს რაიმე სხვა ფორმატი, რომლის ფარგლებშიც, პრივილეგირებულად, პანკისის მაცხოვრებლებს მიეცემათ არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების შესაძლებლობა; ან დაარსდეს პროფესიული სასწავლებელი თავად პანკისში);
- განხორციელდეს დამატებითი საგანმანათლებო პროგრამები აჭარელი ეკომიგრანტებისთვის, განსაკუთრებით ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოიკვეთა კონკრეტულად იმ თემებისთვის დამახასიათებელი პრობლემები, რომლებმაც კონფლიქტებში წევრები დაკარგეს. პანკისში ყველაზე ხშირად წყლის მომარაგების პრობლემა დასახელდა. თუმცა, მოსახლეობამ ასევე მიუთითა გასართობი და კულტურული დაწესებულებების ნაკლებობაზე, როგორებიცაა სპორტული და საბავშვო მოედნები, მუზეუმები. მსგავსი ინფრასტრუქტურა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. და მართლაც, ხანდაზმულებთან შედარებით, ახალგაზრდები უფრო მაღალი ალბათობით აღნიშნავდნენ, რომ მათ სურთ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდებისთვის სპორტული აქტივობები განახორციელონ. ამ შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდებულია, რომ:

- პანკისელი ახალგაზრდებისთვის შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გამოიყოს ფინანსები, რათა მათ შეძლონ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

კვლევის შედეგების გასამყარებლად ექსპერტებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, რამდენიმე ექსპერტმა გამოთქვა გარკვეული ეჭვები ძალადობრივ სპორტთან, მაგალითად, ბოქსთან დაკავშირებით. ეს საკითხი ფართოდ იქნა განხილული. მკვლევართა გუნდს მიაჩნია, რომ ეს ეჭვები საფუძვლიანია. ამასთან, ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, რომ გუნდური სპორტი ხელს უწყობს ახალგაზრდებს სოციალური უნარების განვითარებასა და სოციალური კაპიტალის დაგროვებაში.(CRRC 2011). შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- ახალგაზრდების სპორტში ჩართვაზე მიმართული ნაბიჯები კონცენტრირდეს სპორტის გუნდურ სახეობებზე.

ცალსახად გამოიკვეთა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ მუშაობენ აჭარელ ეკომიგრანტებთან. ეკომიგრანტების თემების უდიდესი ნაწილი არ იცნობს მათ თემებში მომუშავე არასამთვრობო ორგანიზაციებს. იგივე ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. ეს მიუთითებს, რომ ამ თემებში პროგრამების დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემებიდან სირიასა და ერაყში საბრძოლოდ წასული ადამიანების ოდენობა, პანკისთან შედარებით, მცირეა, ნათელია თემებში რადიკალიზაციის გავრცელების პრევენციის საჭიროება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- დონორმა ორგანიზაციებმა გამოყონ თანხები არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად და განვითარებაზე მიმართული საქმიანობისთვის აჭარელი ეკომიგრანტების თემებში.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა განახორციელოს პროგრამები, მონაცემები მიუთითებს, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს აქვთ აშკარა უპირატესობა თბილისში დაფუძნებულ ორგანიზაციებთან მიმართებით. პანკისში ნდობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, საერთაშორისო და თბილისში მოქმედ ორგანიზაციებთან შედარებით. ამასთან, ნდობა შედარებით მაღალია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ზოგადად, ადგილობრივი ორგანიზაციები ითხოვენ უფრო ნაკლებ საოპერაციო თანხებს თბილისში მოქმედ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედარებით. ამის გათვალისწინებით, ადგილობრივ ორგანიზაციებთან მუშაობით მივიღებთ უფრო მეტს ნაკლებ ფასად. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- პანკისში უპირატესობა მიენიჭოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას;

- როდესაც დონორი ორგანიზაციები სირთულეებს აწყდებიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების პროცესში, ან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გრანტის მართვისთვის საჭირო ადმინისტრაციული რესურსის კუთხით, უპირატესობა მიენიჭოს პარტნიორობას ადგილობრივსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, ან ადგილობრივსა და თბილისში მოქმედ ორგანიზაციებს შორის.

არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკლებობის გამო რთულია ამ რეკომენდაციის შესრულება აჭარელი ეკომიგრანტების თემებში. ამ შემთხვევაში, საუკეთესო არჩევანია ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ მსგავს თემებში მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

- აჭარელი ეკომიგრანტების თემებში პროგრამების დანერგვისას გაიმართოს კონსულტაციები პანკისურ ორგანიზაციებთან.

და ბოლოს, ამ კვლევის მიზანი იყო როგორც თემების დონეზე რადიკალიზაციისა და თემების მედეგობის შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა, ასევე, იმის წარმოჩენა, თუ რა სურთ თავად კონფლიქტში ჩართულ თემებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ამ თემებში პროგრამების განხორციელება შეგროვებულ ფაქტებზე დაყრდნობით მოხდეს და შეფასდეს, თუ რა მუშაობს და რა არა. გასათვალისწინებელია, რომ ჩნდება ახალი პრობლემები და იცვლება პრიორიტეტები. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ რადიკალიზაციის პრევენციისკენ მიმართულმა პროგრამებმა:

- განახორციელონ პროგრამის ეფექტური მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის:
    - თემებში მკაცრად შერჩეული საკონტროლო ჯგუფების (მაგ: შეწყვილების მეთოდით, რომელიც ამ კვლევაშია გამოყენებული) მეშვეობით; და
    - იმ თემების ან სამიზნე მოსახლეობის რეპრეზენტატული შერჩევის გამოკითხვების მეშვეობით, რომლებშიც პროგრამები ხორციელდება.

ერთი მხრივ, ნათელია მონიტორინგისა და შეფასების ძლიერი მექანიზმის სარგებელი ოპერაციული კუთხით. მეორე მხრივ, ასეთმა მექანიზმმა შესაძლოა, ხელი შეუწყოს რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზების უკეთ გააზრებას, შესაბამისად, წვლილი შეიტანოს მის პრევენციაზე მიმართული ნაბიჯების შემუშავებაში.

ბიბლიოგრაფია

გ.ვ. ოლპორტი და Mazal Holocaust Collection. (1954). ცრურწმენის ბუნება. კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ედისონ-უესლის გამომცემლობა.

რ. ბარეტი (2017). „ხალიფატს მიღმა: უცხოელი მებრძოლები და დაბრუნებულებისგან მომავალი საფრთხე.“ სოუფანის ჯგუფი http://thesoufancenter.org/wp-content/uploads/2017/11/Beyond-the-Caliphate-Foreign-Fighters-and-the-Threat-of-Returnees-TSC-Report-October-2017-v3.pdf

ე. ბენმელექი და ე.ფ. კლორი (2016). „როგორ აიხსნება ისლამურ სახელმწიფოში უცხოელ მებრძოლთა გადინება?“ ეკონომიკური კვლევის ეროვნული ბიუროს სამუშაო დოკუმენტი No. 22190: ეკონომიკური კვლევის ეროვნული ბიურო, https://scholars.huji.ac.il/sites/default/files/eklor/files/w22190.pdf

ე.ს. ბოგარდუსი (1995). „სოციალური დისტანციის გაზომვა.“ *გამოყენებითი სოციოლოგიის ჟურნალი*, 9, pp. 299-308

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2011). „სოციალური კაპიტალი საქართველოში: საბოლოო ანგარიში და რეკომენდაციები.“ https://www.academia.edu/7438627/Social_Capital_in_Georgia_Final_Report_and_Recommendations_CRRC_?auto=download

კავკასიის კვლევითი რესურსები ცენტრი. (2017). „კავკასიის ბარომეტრი 2017, საქართველო.“ http://caucasusbarometer.org.

ჯ. ჰორგანი. (2008). „პროფილებიდან ბილიკებამდე და ფესვებიდან გზებამდე: ფსიქოლოგიის პერსპექტივები რადიკალიზაციის ტერორიზმად გადაქცევის შესახებ.“ *პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების ამერიკული აკადემიის ქრონიკები*, 618(1), გვ. 80–94. https://doi.org/10.1177/0002716208317539

კ. მაკოლეი და ს. მოსკალენკო(2014) „მარტოხელა ტერორისტების პროფილის ძიებაში: რას მიჰყავს ადამიანი რადიკალური შეხედულებებიდან რადიკალურ ქმედებებამდე“ *ტერორიზმის და პოლიტიკური ძალადობა*, 26(1), გვ. 69-85, DOI: 10.1080/09546553.2014.849916

მ. მესტვირიშვილი, თ. ზურაბიშვილი, თ. იაკობიძე და ნ. მესტვირიშვილი (2017) „ჰომოფობიის კვლევა თბილისში, საქართველო.“ *ჰომოსექსუალობის ჟურნალი*, 64(9), გვ. 1253-1282, DOI: 10.1080/00918369.2016.1244445

პ.რ. ნიუმანი (2013) „რადიკალიზაციის პრობლემა.“ *საერთაშორისო ურთიერთობები*, 89, გვ. 873-893. https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1468-2346.12049

მ. რენსტორპი (2016). „ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები.“ რადიკალიზაციის ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის შემსწავლელი ცენტრის კვლევა, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის შემსწავლელი ცენტრ: https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/ran-papers/docs/issue_paper_root-causes_jan2016_en.pdf

მ.რენსტორპი და პ. ჰილენგრენი (2013). „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია მესამე სამყაროს ქვეყნებში: როგორ ავირიდოთ ადამიანების გაწევრიანება კონფლიქტურ ზონებში მოქმედ შეიარაღებულ ექსტრემისტულ ჯგუფებში: შეჯამება“ სტოკჰოლმი. ხელმისაწვდომია ბმულზე http://urn.kb.se/resolve?urn=urn:nbn:se:fhs:diva-4449

მ. ვერკუიტენი და ბ. მარტინოვიჩი(2012). „სოციალური იდენტობის კომპლექსურობა და იმიგრანტების დამოკიდებულება მასპინძელი ერის მიმართ“ *პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ცნობარი*, 38(9), 1165–1177. https://doi.org/10.1177/0146167212446164

მ. ვერკუიტენი და ა.ა. ილდიზი (2007). „ეროვნული (დის)იდენტიფიკაცია და ეთნიკური და რელიგიური იდენტობა: ნიდერლანდელი თურქი მუსლიმების კვლევა.“ *პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ცნობარი Bulletin*, 33(10), 1448–1462. https://doi.org/10.1177/0146167207304276